# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 21 აგვისტო 2007 №192 (3115) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



**მალხაზ ასათიანი: ივანოვიჩთან საგანგაშო არაფერი მომხდარა**

3



**კობა ჟორჟიკაშვილი არა მხოლოდ ცხინვალზე**

**ვისაც მეტი ექლევა, მეტიც მოეკითხება**

3



**დომენეკი: ასე იყო. არაფერს ვიგონებ!**

**ფრანგთა მწვრთნელი იტალიელებზე აზრს არ იცვლის**

4

# რომელ უბნელი ხარ, ძმაო?

## უბნების ქვეყანა ისეთ ქვეყანას ვეთამაშებით, სულ ერთი უბანია

ა, მოატანა ქართული კალათბურთის ხსნის მატჩებმაც. წლების მანძილზე ევროკალათბურთის ქვედა ეშელონში მოყურყუტე საქართველოს ნაკრებს მორიგი შანსი ეძლევა, თავი დააღწიოს ჭაობს და ოცნებად ქცეულ ელიტაში შეაბიჯოს. შვიდ წელზე მეტია, ქართველები ამას ცდილობენ, მათ ბობოლებთან გაჯიბრების უფლება თავისი კალიბრის გუნდებთან ბრძოლაში უნდა მოიპოვონ. ჩვენებისთვის ლუქსემბურგი ბარიერად ვერ გამოდგება, თუმც ჯუჯებთან მატჩით საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრე იწყება და კენ შილდსის შეგირდებსაც ფხიზლად ყოფნა მართებთ. მით უფრო, რომ ლუქსემბურგელები შინ თამაშობენ, თანაც ნატურალიზებული ამერიკელი ალვინ ჯონსიც დაუბრუნდათ, ვისაც ჩვენი ლიდერის, ზაზა ფაჩულიას წინააღმდეგ ორჯერ უთამაშია და ერთხელ პირად სტატისტიკაში აჯობა, მეორედ კი წყობილებიდან გამოიყვანა და მსაჯს მოედნიდან გააძევებინა.

ერთი სიტყვით, ქართველები დღეს ლუქსემბურგით იწყებენ და ფიქრები უფრო შორს, ისლანდია-ფინეთთან მართლაც გადამწყვეტი ბრძოლებისკენ გაურბით.

ეს დღეს, ხვალ კი ლუქსემბურგულ-ქართული შერკინება ფეხბურთში გაგრძელდება. კლაუს ტოპმიოლერის გუნდი ევროპის ერთ-ერთ უსუსტეს ნაკრებს ამხანაგურად ხვდება და თუ მოახლოებული სასექტემბრო ევროშესარჩევი მატჩებისთვის გუნების გამოკეთება გინდა, ლუქსემბურგთან აუცილებლად უნდა მოიგო. ისე, ამხანაგურებში გამარჯვება ნაღდად არ ესწავლება ტოპმიოლერის ნაკრებს — აკი ურუგვაისა და თურქეთს სძლია. ოფიციალურებში კი რა გითხრათ, ფარერები რომ არ გვყავდეს...





# ვაი, მარადონაც ფანდარასტ?



ძნელია ფეხბურთის მეფობა. ერთია და, რაც დაბერდა, ტელეეკრანიდან დღენიადაგ იმას გვიმტკიცებს, ბრაზილიური ყავა ვარო, მეორე კი...

დიეგო მარადონა ვენესუელაში ჩაბრძანებულა, პრეზიდენტ უგო ჩავესს სტუმრობს. ჩავესს „ღმერთის ხელა" კაცი გადაცემა „ალო, პრეზიდენტეში" მიუყვანია. იქ რა იყო და როგორ, მეექვსე გვერდზე ნაიკითხავთ, აქ კი იმას გეტყვით, რომ დიეგოს განუცხადებია, ფიდელს და ჩავესს იმპერიალისტებთან ბრძოლაში მხარს ვუჭერო.

„მე ნამდვილი ჩავისტა ვარ" — ამაყად უთქვამს ვარსკვლავს, ჩავისტა კი მათებურად თურმე ჩავესის მომხრეს ნიშნავს.

ჩვენ კი ამ ჩავისტაზე ერთი არცთუ ძველი ამბავი გაგვახსენდა, ვენესუელის პრეზიდენტმა რუსების სიყვარულით და ამერიკელების ზიზღით კოკოითის მხარდაჭერა თუ რალაც ამდაგვარი რომ გამოხატა. კოკოითი, ჩავესი, მარადონა...

ვაი, მარადონაც ფანდარასტ?

# მალხაზ ასათიანი: ივანოვიჩთან საგანგაშო არაფერი მომხდარა



მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელების, მალხაზ ასათიანისა და სერბ ბრანისლავ ივანოვიჩის ჩხუბზე გუშინ ვწერდით. ცხადია, უსიამოვნო ფაქტია, თანაც მატჩის დროს, გულშემატკივრების თვალწინ. გაირკვა, რომ ასათიანი და ივანოვიჩი ჯერ კიდევ „მოსკვასთან" მატჩის დაწყებამდე წაჰკიდებიან ერთმანეთს, რაც პირველი ტაიმშიც გაუგრძელებიათ და შესვენებაზე გასახდელში დაუსრულებიათ. ისე, ცნობისთვის, ივანოვიჩის დასაკვირვებლად ამ მატჩს „ჩელსის" წარმომადგენელი ფრენკ არნესენი დასწრებია. „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ ჩხუბის ფაქტი უარყო. მხოლოდ რკინიგზელთა რამდენიმე ფეხბურთელმა, მათ შორის, დინიარ ბილიალეტდინოვმა და პეტერ ოდემვინგიმ თქვეს, ასათიან-ივანოვიჩის წაკიდება, ასე ვთქვათ, „საქმიანი პროცესი" იყო, ერთმანეთს შენიშვნა მისცეს სათამაშო მომენტში და ეგ იყო, მერე კი კონფლიქტი ამოიწურაო. მალხაზს „სპორტ ექსპრესი" გაესაუბრა და ჩვენიანიც ამბობს, სკანდალი დასრულდა, საშიში არაფერი მომხდარაო...

— ჩვეულებრივი სათამაშო სიტუაცია იყო, ჩვენ ერთმანეთს ყოველთვის „ვქოქავთ" ხოლმე და როგორც ხედავთ, მოვიგეთ კიდეც. უსიამოვნო ამბები მინდორზე რჩება, თამაშის შემდეგ ამას აღარ ვიხსენებთ.

— „მოსკვას" მწვრთნელის გაძევება არ დაგეხმარათ?

— მე ეს არ შემიმჩნევია, პირველად მესმის.

— ბოლო ორი თამაში მოიგეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ „ლოკომოტივმა" სიჩქარე აკრიფა?

— დიახ. ჩვენ მართლაც კარგად ავთამაშდით და ახლა მთავარი ისაა, ქულების აღება გავაგრძელოთ.

— ბოლო წუთებზე დაცვაში ჩაიკეტეთ და კინაღამ გოლი გაუშვით...

— პანიკა არ ყოფილა, შეგნებულად დავთმეთ უპირატესობა და კონტრშეტევებზე ვითამაშეთ.

— თქვენს თამაშს როგორ შეაფასებთ?

— ნორმალურად ვითამაშე. პრინციპული მატჩი მოვიგეთ და ყველანი კმაყოფილები ვართ.

— „ლოკომოტივში" გუნდური ატმოსფერო როგორია?

— კარგი. ჩვენი დევიზია: ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის.

— რა მიზნები აქვს ამ სეზონში „ლოკომოტივს"?

— სეზონის დასაწყისში ჩემპიონობა იგეგმებოდა, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი ძნელია. თუმც მეორე ადგილზე გასვლა შეიძლება.

**ილია ნანობაშვილი**

# პოლონეთმა 22 გაამზადა

**საქართველოს** 21-წლამდელთა ნაკრები პოლონეთში ჩავიდა და ხვალ, ჩვენი დროით 16 საათზე პატარა ქალაქ ზაბიერზოვეს სტადიონზე პოლონელ თანატოლებს ევრო 2009-ის შესარჩევ მატჩში შეხვდება. თამაშს ებრაელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება: მთავარი მსაჯი ჰაიმ იაკოვი იქნება, გვერდითები — ერეზ ზატელმანი და შაბტაი ნაჩმიასი, დელეგატად კი ასევე ებრაელი მენაშე მასიაა დანიშნული.

ლევან მჭედლიძე, ჯაბა კანკავა, ნუკრი რევიშვილი, მირზა ბჟალავა, რატი წინამძღვრიშვილი, ბესიკ ჩიმაკაძე, მურთაზ დაუშვილი, დავით მჭედლიშვილი — ესაა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც პეტარ სეგრტის გუნდს პოლონეთში ვერ გაჰყვნენ.

პოლონეთის 21-წლამდელთა თავკაცმა ანჯეი ზამლინსკიმ ქართველებთან დასახვედრი 22-კაციანი შემადგენლობა გამოაცხადა, რომელსაც 18 ფეხბურთელამდე შეამცირებს.

*მეკარეები:* ადრიან ბიენეკი (ვისლა), პაველ ლინკა (ოდრა), ბართოშ ბიალკოვსკი (საუთჰემპტონი, ინგლისი);

*მცველები:* მარიუშ პაველეცი (გურნიკი), პჟემისლავ კოკოტი (ზაგლებიე), პიოტრ პოლჩაკი (კატოვიცე), იაკუბ რზეჟნიჩაკი (ლეგია), ვიტოლდ კიჩი (ოდრა), ადამ დანჩი (გურნიკი)

*ნახევარმცველები:* პიოტრ კუკლისი (ვიძევი), სიმონ პაველოვსკი (ზაგლებიე), ტემრი ვილკი (კორონა), მარჩინ პიეტრონი (ზაგლებიე), არტურ მარჩინიაკი (ბელხატუვი), ამადეუშ კლოდავსკი (გროცლინი), რადოსლავ მაიევსკი (გროცლინი), ადამ კოკოშკა (ვისლა), ადრიან მეიერშევსკი (პლოცკი);

*თავდამსხმელები:* კშიშტოფ სოკალსკი (ვიძევი), პიოტრ გუელონგი (ვისლა), ლუკაშ იანოშკა (რუხი), პატრიკ მალეცკი (ვისლა).

**ილია ნანობაშვილი**

# ზესტაფონმა ჭელიძე გააოფიციალურა

**„ზესტაფონმა"** ოფიციალურად სრულყო გიორგი ნოდარის ძე ჭელიძის გადაბირება. 20 წლის ფორვარდი ბოლოს უკრაინულ ლუგანსკის „ზარიაში" თამაშობდა იჯარით, ისე კი მოსკოვის „ლოკომოტივის" საკუთრებაა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წამყვანი თავდამსხმელი „ზესტაფონში" წლის ბოლომდე ითამაშებს განათხოვრებით. შეიძლება ითქვას, ეს ერთ-ერთი ყველაზე წონადი ტრანსფერია, წლეულს ქართულ კლუბებში რომ განხორციელდა.



ცხინვალი ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა უმაღლეს ლიგაში, ოღონდ „სპარტაკის" სახელით. პოლიტმოტივით გაუმაღლესლიგებულ გუნდს იოლი ცხოვრება ნაღდად არ ელის, რაკიღა ჯერ შემადგენლობით ვერ მოიწონებს თავს და, ცხადია, იმაზე უნდა იზრუნოს, რომ პირველ ლიგაში არ ჩაუვარდეს ფეხი, თუმც ჯერ მარცხისა არაფერი ეტყობა. ცხინვალელთა მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილს გუშინ შევხვდით...


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი ქეთილაძის ფოტო

# გამოვიზამთრებთ და...

— ყველას აინტერესებს, რეალურად ვინ პატრონობს ცხინვალის „სპარტაკს"?

— კლუბის პრეზიდენტი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის უფროსი ბატონი დიმიტრი სანაკოევია. იგი შეძლებისდაგვარად გვერდში გვიდგას და როცა დრო აქვს, ჩვენს ვარჯიშებსაც ესწრება.

— გუნდის დაკომპლექტება რამდენჯერმე მოგიხდათ. ბოლოს მაინც მოახერხეთ შემადგენლობის შეკოწიწება და მოუმზადებელი ფეხბურთელებით უმაღლესი ლიგის პირველ ორ ტურში არ წაგიგიათ...

— დროის სიმცირის გამო მოსამზადებელი პერიოდი არ გაგვივლია. ასეთ მოკლე ხანში ფეხბურთელების მოძიებაც ძალიან გაგვიჭირდა, თანაც ფინანსების სიმწირეც იყო. ჩვენ ფეხბურთელებში ფული არ გადაგვიხდია, ძირითადად ისეთები ავიყვანეთ, რომლებიც უგუნდოდ იყვნენ. ბიჭებმა ახლაღა გაიცნეს ერთმანეთი, თანაც უმეტესობა ჭაბუკია და უმაღლესში თამაში მათთვის დიდი გამოცდაა. მაგრამ მათ სასახელოდ ვიტყვი, რომ „სიონთან" და „ბორჯომთან" კარგად გაისარჯნენ და გამოცდილ მეტოქეებს არაფერი დაუთმეს.

— და მაინც, თუ არ გაძლიერდით, ამ გუნდით უმაღლესში დარჩენა გაგიჭირდებათ...

— ჩვენ ისევ ვაგრძელებთ სელექციას. ზამთრის მოსამზადებელ პერიოდს ნაყოფიერად გამოვიყენებთ და გარწმუნებთ, რომ მეორე წრეში „სპარტაკი" ერთ-ერთი ყველაზე მოძრავი და ბრძოლისუნარიანი გუნდი იქნება.

— „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე ვარჯიშობთ...

— „სპარტაკისთვის" ეს დიდი შეღავათია. ასეთი ხელშეწყობისთვის დიდი მადლობა სტადიონის ახალ მეპატრონეს ირაკლი მაჭავარიანს.

— თქვენ ადრე 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი იყავით. ამ ასაკის ნაკრები პალანგის საერთაშორისო ტურნირზე წარუმატებლად გამოდის...

— სამწუხაროა, რომ ჩვენმა ბიჭებმა ორივე მატჩი წააგეს. ადრეც მითქვამს და კიდევ ვიტყვი: ჩემი აზრით, ასაკობრივ ნაკრებებს მწვრთნელებად ქართველები უნდა ჰყავდეთ. ქართველის ფსიქოლოგია ქართველმა უკეთ იცის, უფრო უკეთ აუხსნის და გააგებინებს მოთამაშეებს დავალებებს, არა მგონია, სელექციაშიც შეგვეშალოს რამე. ნაკრების მწვრთნელი ვიყავი და კარგად ვიცი, რა პირობები იყო მაშინ და რა არის ახლა. უცხოელ მწვრთნელებს ყველანაირი ხელშეწყობა აქვთ და არა მხოლოდ ჩემი აზრია, რომ შედეგი გაცილებით უკეთესი უნდა ჰქონდეთ.

— ქართული ფეხბურთის მომავლის აღზრდაში უპირველეს პრობლემად რას მიიჩნევთ?

— საქართველოში იბადებოდნენ, იბადებიან და კვლავაც დაიბადებიან ნიჭიერი ბავშვები, მაგრამ მთავარი ისაა, როგორ იზრდებიან ისინი. ჯერაც თავშისახლელად რჩება მოედნის, ბურთისა თუ ათასი წვრილმანის პრობლემაა... ბევრ ოჯახში ბავშვი ისე ვერ იკვებება, როგორც მის ორგანიზმს სჭირდება. ყველაზე დიდი სატკივარი კი მოზარდებთან მომუშავე პროფესიონალ მწვრთნელთა დეფიციტია — ისინი ძალიან ცოტანი არიან. ამიტომ მწვრთნელთა განათლების სისტემაში აუცილებლად უნდა ჩაიდოს ფული, უნდა შეიქმნას კარგი სავარჯიშო და სათამაშო პირობები. უმთავრესი კი ისაა, რომ ეროვნული ჩემპიონატი არა მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელების თამაშის, არამედ ზრდის ასპარეზად იქცეს. ქართულ ფეხბურთს ამით თუ ეშველება.

**ნუკრი ლოლაძე**

### ინგლისი
კონფერენსლიგა. III ტური
ეძსეტერი 1:1 იორკი

### გერმანია
II ბუნდესლიგა. II ტური
კიოლნი 0:1 ალემანია

### საფრანგეთი
II დივიზიონი. IV ტური
ლე ავრი 1:0 ნანტი

### პორტუგალია
სუპერლიგა. I ტური
ნავალი 1:1 ბელენენსეში

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა. III ტური
ბოჰემიანსი 0:0 სიგმა
იაბლონეცი 1:1 ბოლესლავი

### ბრაზილია
სერია A. XX ტური
ბოტაფოგო 1:1 ინტერნასიონალი
კრუზეირო 4:2 ფლუმინენსე
გოიასი 0:0 სან პაულუ

### შვედეთი
სუპერეტა. XX ტური
იონკოპინგი 1:0 ატვიდაბერგი
ლანდსკრონა 1:1 იოსტერსი
ნორჩიოპინგი 1:1 სილვია
იორგრიტე 3:1 მიალბი

### ირლანდია
პრემიერლიგა. XXII ტური
დროჰედა 2:2 გალვეი

### უნგრეთი
ბორსოდი ლიგა. V ტური
ვაშაში 3:2 პაკში

### ამხანაგური მატჩი
მოზამბიკი 0:2 ზიმბაბვე

### დანია
სუპერლიგა. VI ტური
ლიუნგბიუ 1:6 ესბიერგი

### არგენტინა
აპერტურა. III ტური
ბოკა ხუნიორსი 1:0 სან მარტინი

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — I წრე. 2 ტური

მგლები 1:0 მერანი
სპარტაკი 0:0 ბორჯომი
ამერი 3:2 დილა
ბათუმი 0:1 ოლიმპი
ვიტ ჯორჯია 1:0 ლოკომოტივი
მესხეთი 0:2 ზესტაფონი
დინამო – სიონი გადაიდო

## ჯერ ორჯერ ორიც არ არის

ორი ტურის შემდეგ ჩემპიონატს „ზესტაფონი" ლიდერობს და მასავით ოთხი ქულა კიდევ ორ გუნდს აქვს, თუმც პოტენციურ ლიდერს ამ ტურში არ უთამაშია: სავარაუდოდ, გუნდი, რომელიც 6 ქულით წამოჯდებოდა ცხრილის თავში, თბილისის „დინამო" იქნებოდა, მაგრამ დუშან უჰრინის ბიჭებს „სიონთან" საშინაო მატჩი გადაედოთ.

„ბათუმი" და „მერანი" კი ის გუნდები არიან, რომელთაც ჯერ ქულაც არ აუღიათ და გოლიც არ გაუტანიათ, თუმც ჯერ ხომ ძალიან ადრეა — წინ კიდევ 24 ტურია, ნუ ავჩქარდებით...



## აბრეზამ შე-100-რულა!

ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ისტორიაში სულ 13 ფეხბურთელი იყო, ვისაც 100 და მეტი გოლი გაეტანა, მათგან პირველმა ამ ნიშნულს ოთარ კორღალიძემ უწია. კვირას კი ასიანთა სია გათოთხმეტდა — სულიკო დავითაშვილმა წინა სეზონში 99-მდე ააღწია, 100 კი პარასკევს, გორის „დილასთან" მატჩის 56-ე წუთზე შეასრულა.

„ამერის" ტანდაბალი, მოუსვენარი ფორვარდი კვლავ ფორმაშია. ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელიც რომაა, ამას თქმა რად უნდა, კიდევ ბევრს გავიტანო, გვითხრა „აბრეზამ" ნაგორისდილევს და ჩვენც წარმატებას ვუსურვებთ.



## ნუ აინთებ წითელს!

კახა მახარაძე 18 წლის იყო, თბილისის „დინამოს" მაისურით ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე რომ ითამაშა და მაშინ დანიურ „ბრონდბიუსთან" საშინაო მატჩში საუკეთესოც იყო თავისიანებში. ძალიან კარგი მონაცემების პატრონია, უდავოდ ნიჭიერია და 21-წლამდელთა ნაკრებშიცაა გამოძახებული, მაგრამ ნერვების მოთოკვა მართებს — წინა სეზონის მეორე წრეში „ჩიხურაში" რომ იყო, ზედიზედ ორჯერ გააძევეს, ახლა კი „ბათუმშიც" მიიღო წითელი ბარათი „ოლიმპის" ლეგიონერ აკუასაგასთან შელაპარაკებისთვის. მოკლედ, მახარაძეს ძალიან ხშირად აძევებენ და ამაზე უნდა დაფიქრდეს, თანაც წითლების უმეტესობას არასათამაშო ეპიზოდებში იღებს...

## გვემცხეთა კოტრიალები: ამდენი შეცვლის მნახველი, ლამის ჩვენ გავხდეთ შესაცვლელები



მცხეთაში „ვიტ ჯორჯია" — „ლოკომოტივის" 58-ე წუთი იყო, როცა მთავარმა მსაჯმა ვასილ ელისაბედაშვილმა ტრავმა მიიღო. ცხადია, არც „პადკატში" ჩაწოლილა და არც უხეშად მოუცელიათ, უბრალოდ, ფეხი იტკინა და შესაცვლელი გახდა, მისი ადგილი კი მეოთხე მსაჯმა ირაკლი ურუშაძემ დაიკავა.

ვერც ელისაბედაშვილს და ვერც ურუშაძეს ცუდ მსაჯობას ვერ დავწამებთ, მაგრამ როგორი ამბავია: მეორე ტაიმში თამაში თითქმის არ ყოფილა, წამდაუწუმ ფეხბურთელების ტრავმებმა და ბალახზე კოტრიალმა ნერვები წაიღო, მატჩს კი მხოლოდ ოთხი წუთი დაამატეს... არადა, პარადოქსია, ორჯერ ოთხი წუთი მარტო მთავარი მსაჯის მკურნალობამ და შეცვლამ წაიღო.

## ჟონატასმა იცის და ფრთხილობს



„ზესტაფონის" ბრაზილიელი ლეგიონერის, ედსონ სანტოსის ამბავი გეცოდინებათ — იგი ამჟამად სამშობლოშია და ჩამოვა თუ არა საქართველოში, ძალიან საეჭვოა. „ნავაკაცარ"-ნაავკაცარი ამბები რომ გაიგო, ზესტაფონელთა კიდევ ერთი ბრაზილიელი ჟონატას ტორესი ცოლსა და ორ შვილს გვერდიდან არ იცილებს. ასე იყო კვირას ახალციხეშიც, „მესხეთთან" თამაშისას ჟონატასის ცოლ-შვილი ტრიბუნაზე იჯდა. როგორ გაიხსენებენ „სტუმართმოყვარე" საქართველოს ბრაზილიელები, ესაა ყველაზე გულსაკლავი...

ილია ნანობაშვილი

| ბომბარდირები | | |
|---|---|---|
| 2 - | ბ. ჩიტაია | დილა |
| - | ვიეირა | ზესტაფონი |
| - | ტატანაშვილი | ამერი |

### სიმბოლური ნაკრები

| | |
|---|---|
| დავითაშვილი | ამერი |
| ჯელაძე | ამერი |
| სადალაშვილი | დილა |
| კლიმიაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| ვიეირა | ზესტაფონი |
| ჭივაძოვიჩი | ოლიმპი |
| ჯოჯუა | მგლები |
| ფარულავა | მგლები |
| საჯაია | ზესტაფონი |
| ა. დათუნაიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| თოთლაძე | ბათუმი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბორჯომი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ამერი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| დილა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| მგლები | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| მესხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ოლიმპი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბათუმი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| მერანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |

### მესამე ტური

24 აგვისტო, პარასკევი
ლოკომოტივი – მესხეთი
დილა – ვიტ ჯორჯია
მერანი – სპარტაკი
სიონი – ბათუმი

25 აგვისტო, შაბათი
ბორჯომი – დინამო
ზესტაფონი – მგლები
ოლიმპი – ამერი

# დომენეკი: ასე იყო, არაფერს ვიგონებ!



TF-1-თან ინტერვიუში რაიმონ დომენეკმა სკანდალურ მატჩთან დაკავშირებულ ამბავზე ილაპარაკა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, მან იტალიისა და საფრანგეთის 21-წლამდელთა შეხვედრის (1999 წლის 17 ნოემბერი) მსაჯობაზე თქვა, იტალიელებმა მსაჯი მოისყიდეს და მასპინძლებს თამაში მოაგებინესო.

„ჩემი სიტყვები არასწორად გაიგეს — განაცხადა დომენეკმა — მაგრამ ისევ გავიმეორებ, რაც ვთქვი: არაფერს არ ვიგონებ ახალს. იტალიაში მშვენივრად იციან, რა და როგორ მოხდა. მე არ ვარ ერთ-ერთი მათგანი, ვინც „იუვენტუსი" სერია B-ში ჩააქვეითა და „მილანს" ქულები დააკლო. სერია A-ში მსაჯების მოსყიდვის პრობლემა ყოველთვის იყო და მათ ეს პირველად ჩემგან არ გაუგიათ. 17 ნოემბრის მატჩი უსამართლობის ზეიმის მაგალითია."

შეგახსენებთ, რომ ის შეხვედრა სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევი გახლდათ და იტალიამ 2:1 მოიგო.

უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ რაიმონ დომენეკს ამ სიტყვებზე პასუხი მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში დააჯარიმებენ. საქმის გარჩევა ალბათ იტალია — საფრანგეთის ევრო 2008-ის შესარჩევი (8 სექტემბერს) მატჩის შემდეგ შედგება: „ვიმედოვნებ, რომ საკითხი, რაც შეიძლება მალე მოგვარდება — აღნიშნა ფრანგთა მწვრთნელმა — ეს კი იტალიელებს არ სურთ, რადგან ეს ამბავი იქაურ მედიას შესარჩევი მატჩის წინ ქომაგების ჩვენ წინააღმდეგ ასამხედრებლად სჭირდება".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლიოვისთვის სულ ერთია

**იოახიმ ლიოვი** სულაც არ ღელავს იმის გამო, რომ ოთხშაბათს „უემბლიზე" შესუსტებულ ნაკრებს ჩაიყვანს — გერმანია ინგლისს ამხანაგურად ეთამაშება ძირითადი შემადგენლობის ექვსი ფეხბურთელის გარეშე. ადრევე ცნობილი იყო, რომ გუნდს მიხაელ ბალაკი, ტორსტენ ფრინგსი და ლუკაშ პოდოლსკი ვერ დაეხმარებოდნენ, ახლა მათ კიდევ სამი დაემატა: მიროსლავ კლოზე, ბასტიან შვაინშტაიგერი და მარსელ იანსენი გასულ კვირაში დაშავდნენ.



„მნიშვნელოვანი არაა, რომელი შემადგენლობით ვითამაშებთ — თქვა ლიოვმა — ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი. შეცდომა იქნება, დაცვაში თუ ჩავდგებით და შევეცდებით, გოლი არ გავუშვათ. ჩვენ სწრაფ, ღია ფეხბურთს ვაჩვენებთ. მხოლოდ ასეთი თამაშით გვექნება ინგლისთან მოგების შანსი".

ტრავმირებულების შესაცვლელად მწვრთნელმა „ლევერკუზენიდან" გონსალო კასტროს, „ბეტისიდან" დავიდ ოდონკორს და „შალკედან" კრისტიან პანდერს უხმო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პატო თუ ბალოტელი?

**„მილანმა"** აჯობა „ინტერს" და ბრაზილიელი ალეშანდრე პატო გადაიბირა, მაგრამ ინტერელთა პრეზიდენტი მასიმო მორატი ამტკიცებს, რომ პატოს მარიო ბალოტელი ურჩევნია.

„ჩვენ ნამდვილად არ ვაპირებდით ბრაზილიელის შეძენას — თქვა პრეზიდენტმა „გაძეტა დელო სპორტთან" — სამი სეზონი ვაკვირდებოდით მას, მაგრამ ბოლოს გადავიფიქრეთ. ჯერ ერთი, „ინტერნასიონალი" ძვირს (10 მილიონი გირვანქა) ითხოვდა, მეორე — პატო ადგილს წაართმევდა ბალოტელის, რომელიც გაცილებით ნიჭიერია და მესამეც — ბრაზილიელი 18-ის არაა და დასამტკიცებელი აქვს ბევრი რამ".



ალეშანდრე პატო

მარიო ბალოტელი ბარეუა პალერმოში დაბადებული განელია, რომელსაც 18 წელი 12 აგვისტოს შეუსრულდა და ამ ზაფხულს ამხანაგურ მატჩებში კარგად ითამაშა. იგი „ინტერმა" „ლუმეცანედან" შარშან იყიდა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

„მილანის" პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი კი პატოს აქებს და ამბობს, რომ მომავალ ზაფხულს კვლავ შეეცდება რონალდინიოს ყიდვას: „ჩვენი გუნდის თავდასხმა ახლა კარგად დაბალანსებულია. თუ ალეშანდრე პატო იმის 70-80 პროცენტს მაინც გამოავლენს, რასაც ველით, გადასარევი იქნება. ყველა ბრაზილიელი აღფრთოვანებულია მისით. ბიჭი ზედმეტად არ დაათრევს ბურთს და საუცხოო ფინტები ეხერხება".

რაც შეეხება რონალდინიოს, ბერლუსკონიმ განაცხადა: „2008-ში უკვე ხუთი წელი შეუსრულდება, რაც „ბარსელონაში" თამაშობს და მისი ფასიც და ხელფასის მადაც, ალბათ, შეიცვლება. ჩვენ ყოველთვის გვაინტერესებდა რონალდინიო და ვნახოთ, რა მოხდება."

**ვაჟა ხუციშვილი**

## ჰაინცე ესპანურ დახლზე

**„სანდი თაიმსის"** ცნობით, „მანჩესტერმა", „რეალმა" და „ბარსელონამ" გაბრიელ ჰაინცეს ყიდვა შესთავაზა. ცნობილია, არგენტინელ მცველს „ლივერპულში" გადასვლა უნდოდა, მაგრამ [illegible] ფერგიუსონს კონკურენტის გაძლიერება არ სურს. ჰაინცე 6 მილიონ 800 ათას გირვანქადაა შეფასებული.

## დეკუ რვად

**„ნიუკასლი"** ბარსელონელი დეკუთი დაინტერესდა — წერს „ნიუს ოფ ზე ვორლდი" — და 8 მილიონი გირვანქის გადახდაზეც ყაბულსაა. კლუბების შეხვედრა ამ კვირაში უნდა შედგეს და დეკუს გარდა, ჟულიანო ბელეტის ტრანსფერზეც ისაუბრებენ. გარდა ამისა, „ნიუკასლი" რედინგელ ნიკი შორისაც ეპოტინება, რომელიც 6 მილიონი გირვანქა ღირს.

## ბოჟინოვი მუხლზე დანას ელის

**„მანჩესტერ სიტის"** ბულგარელი ლეგიონერი ვალერი ბოჟინოვი სამი თვით გამოაკლდა გუნდს. იგი კვირას, მანჩესტერულ დერბიში მერვე წუთზე დაშავდა და საკაცით გაიყვანეს. „გამორიცხული არაა, მუხლზე ოპერაციაც დამჭირდეს" — მოკლედ თქვა ბოჟინოვმა, რომელიც ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელმა დიმიტარ პენევმა სამი დღის წინ შეიყვანა შემადგენლობაში ტრავმირებული დიმიტარ ბერბატოვის ნაცვლად. ახლა პენევს ბოჟინოვის შეცვლაც მოუწევს, ბულგარეთი კი ხვალ უელსს ამხანაგურად ეთამაშება.

## ბელგიას ორი დააკლდა

**ნახევარმცველი** ფილიპ კლემანი და მცველი ჟილ ვან დამი ბელგიის ნაკრებს დააკლდებიან სერბეთთან, ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩში. ორივე ფეხბურთელი გასულ უქმეებზე ჩემპიონატის მატჩში დაშავდა. ბელგია ჯგუფში შვიდი ქულით მეხუთეა, სერბეთი კი თოთხმეტით მეორეზე.

## მირანდას დაუძახეს

**მარცხენა** მუხლის ტრავმის გამო, ბრაზილიას ალჟირთან ამხანაგურ მატჩში ლუსიო დააკლდება. მის ნაცვლად კი კარლოს დუნგამ 22 წლის მირანდა გამოიძახა „სან პაულუდან", ვისაც ნაკრების მაისურა აქამდე არასდროს მოურგია. შეხვედრა ხვალ მონპელიეში გაიმართება და, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ კაკა და რონალდინიო, რომლებმაც „კოპა ამერიკა" დაღლილობის გამო გამოტოვეს.

## სანტუში კამაჩომ დაამთავრა

**ლისაბონის** „ბენფიკას" მწვრთნელი ფერნანდუ სანტუში პირველივე ტურის შემდეგ გაათავისუფლეს, რადგან „არწივებმა" სუპერლიგის დებიუტანტ „ლეიშოეშთან" სტუმრად 1:1 ითამაშეს. სანტუში გუნდში ორი წლის წინ რონალდ კუმანის ნაცვლად მივიდა, გუშინ კი, იგი ხოსე ანტონიო კამაჩომ შეცვალა. კამაჩოს ლისაბონური გრანდი ადრეც გაუწვრთნია.

## ლუისი ფარაში გაერია

**ინგლისური** პრემიერლიგის „დერბიმ" გუშინ „ლიდსიდან" ამერიკელი ნახევარმცველი ედი ლუისი იყიდა და კლუბებმა გარიგების ფასი არ გაამხილეს. 33 წლის ფეხბურთელმა „ცხვრებთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ედი ლუისი ინგლისში 2000 წლის მარტიდანაა. იგი მაშინ „ფულემმა" შეიძინა, საიდანაც „პრესტონში", მერე კი „ლიდსში" გადავიდა.

## მაკელელე ჩელსიში დაბერდება

**კლოდ მაკელელემ** „ჩელსისთან" კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა და გუნდში 2009 წლის ზაფხულამდე დარჩება. ფრანგს ხელშეკრულება მომავალ ივნისში ეწურებოდა და დაჟინებით ითხოვდა ორწლიანს, მაგრამ ბოლოს ერთზეც დაყაბულდა. ახალი კონტრაქტის დასრულებისას ფრანგი მცველი 36-ის იქნება.

## როსიცკიც დაიმტვრა

**ლონდონის** „არსენალის" ნახევარმცველი ტომაშ როსიცკი დაშავდა და ჩეხეთის ეროვნულ გუნდს ავსტრიასთან ამხანაგურ მატჩში ვერ დაეხმარება. ნაკრების კაპიტანმა მუხლის ტრავმა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო მატჩისას, პრაღის „სპარტასთან" მიიღო — გვამცნობს სააგენტო „როიტერი".

## საქმის გარჩევა ჟენევაში

**უეფა-ს** სადისციპლინო კომიტეტმა ბოსნიური „შიროკი ბრიაგისა" და ებრაული „ჰაპოელის" წარმომადგენლები ჟენევაში დაიბარა. ორივე გუნდს ვაიგულშემატკივართა უწესო საქციელის გამო მოუწევთ თავის მართლება. ბოსნიელმა ქომაგებმა 0:3 მარცხი ვერ აიტანეს, რის გამოც მოედანზე უცხო საგნების სროლა დაიწყეს. „ჰაპოელის" გულშემატკივრები კი თამაშის შემდეგ მოწობილ მასობრივ არეულობებში არიან შემჩნეულნი.

## ზალაიეტა ნაპოლის შეეკედლა

**„იუვენტუსის"** ურუგვაელი თავდამსხმელის, მარსელო ზალაიეტას აგენტმა დანიელ ღელგადომ radio kiss kiss-ს განუცხადა, რომ მისი კლიენტი დღეს „ნაპოლიში" გადავა და 3-წლიან კონტრაქტსაც გააფორმებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბედის ჭენება








## ძნელია, ოჰ, რა ძნელია!

**ალექს ფერგიუსონმა** აღიარა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ახლა უკვე უძნელესი ამოცანის წინაშე დგას, ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება ვფიქრობ, მეტისმეტად გაგვიჭირდებაო. და მართლაც, ხუმრობა ხომ არ არის, მანჩესტერულ დერბიში დამარცხების შემდეგ „იუნაიტედს“ ცხრილში ორად ორი ქულა აქვს, არადა, სამ შეხვედრაში ცხრის მოპოვება შეიძლებოდა.

„ათი წლის წინ ასეთ ჩამორჩენას გამოვასწორებდით, რადგან მაშინდელი „იუნაიტედი“ ჩემპიონატის მეორე ნახევარში ყოველთვის კარგად თამაშობდა, ახლა კი გვინდა თუ არა, ამის გაკეთება მოგვიწევს. ყველაზე ცუდი და მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ჩვენ სამი თამაშიდან ერთიც ვერ მოვიგეთ, ასე რომ, მომავალ კვირას „ტოტენჰემის“ წინააღმდეგ მეტად პრინციპული შეხვედრა გველის“ — უთხრა ფერგიუსონმა ჟურნალისტებს.

სტატისტიკოსებმა მოქექეს, რომ სეზონის ასეთი ცუდი სტარტი „მანჩესტერ იუნაიტედს“ ძალიან დიდი ხანია არ ჰქონია. როგორც ირკვევა, ამაზე ცუდი იყო 1992-93 წლების სეზონის დასაწყისი, როდესაც პირველი სამი ტურის შემდეგ „იუნაიტედს“ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ქულა ჰქონდა, თუმცა სტატისტიკის წიგნში დამაიმედებელი მხარეც არის: ის, ცუდად დაწყებული სეზონი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჩემპიონის ტიტულით დაასრულა.

ისევ ფერგიუსონი: „ჩვენ მეტოქის კარის წინ საოცარი მომენტები გავუშვით ხელიდან. ეს ჩვენი უდიდესი ნაკლი და მინუსი იყო. მოკლედ, იმის თქმა, რომ „მანჩესტერ სიტის“ გაუმართლა, მე არაფრით შემიძლია. რა გამართლებაზეა საუბარი, როდესაც ყველაფერი ჩვენს ხელში იყო და ვერ ვისარგებლეთ. მოედნის ბოლო მესამედში უბრალოდ, დიდი წუნით ვთამაშობდით“.

გამარჯვებულთა ბანაკში კი, ამ დროს, დიდი სიხარული სუფევს — „მანჩესტერ სიტიზე“ მოგახსენებთ.

როგორია? სვენ-გორან ერიკსონმა „მანჩესტერ სიტის“ ქომაგებს დერბიში გამარჯვება უძღვნა და თამაშის დასრულების შემდეგ მოისმინა, როგორ მღეროდა მის სახელს 40 ათასი გულშემატკივარი.

„ეს საოცარი გრძნობაა — თქვა შვედმა — ეს სიტუაცია ძალიან მიყვარს, ამ სიმღერების მოსმენა ბედნიერს მხდის. ერთი სიტყვით, ბედნიერი გახლავართ. დღევანდელი წარმატება სამმაგად სასიხარულოა. ჯერ ერთი, ჩემპიონის დამარცხებაა მნიშვნელოვანი, მეორეც, დერბიში გამარჯვებას აქვს თავისებური, საგანგებო გემო და მესამეც, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძლევა ისეთი რამ გახლავთ, რასაც ყოველ დღე ნამდვილად ვერ გააკეთებ“.

აღსანიშნავია, რომ ერიკსონი სავსებით ეთანხმება ალექს ფერგიუსონს იმაში, რომ ბურთს ძირითადად „მანჩესტერ იუნაიტედი“ ფლობდა, კარშიც მეტწილად ინგლისის ჩემპიონი არტყამდა, აი, ზუსტად დარტყმაში კი „იუნაიტედი“ მოიკოჭლებდა, მაშინ, როდესაც „სიტის“ ფეხბურთელმა ჯოვანიმ ჩინებულად დაუმიზნა.

„ქულებს ბურთის ფლობისა და კარში დარტყმათა რაოდენობის მიხედვით რომ არიგებდნენ, ჩვენ ამ შეხვედრაში დავმარცხდებოდით. მატჩის შემდეგ ბიჭებს ვუთხარი, შემდეგზე ცოტა უფრო მშვიდ გარემოში უნდა გავიმარჯვოთ-მეთქი. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ გავიტანეთ, მეტოქემ კი ვერა და თამაშის ბედიც ამან გადაწყვიტა. ჩემი გუნდის ორივე ცენტრალური ნახევარმცველი ფანტასტიკური იყო. მეტიც, მთელმა დაცვამ და მეკარემ ჩინებულად ითამაშეს“.

შემდეგ ერიკსონმა განაცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ დამარცხებით „მანჩესტერ სიტიმ“ დაამტკიცა, რომ მართალია, მისი დღევანდელი ბირთვი ახლა იკვრება, მაგრამ მას უკვე შეუძლია ნებისმიერ მეტოქესთან ბრძოლა.

„ჩვენ პრემიერლიგის ერთ-ერთი ახალგაზრდული, სალი გუნდი გახლავართ. ჩვენს შემადგენლობაში არიან ფეხბურთელები, რომელთაც უმაღლეს დონეზე ფეხბურთი არც კი უთამაშიათ. ერთი სიტყვით, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ თამაში ჩვენთვის დიდი გამოცდა იყო, მაგრამ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერი გამოცდის ჩაბარება შეგვიძლია. ჩვენ თვით ჩემპიონსაც კი გავუმკლავდით. რაც უფრო მეტს მოვიგებთ, მით უფრო სასურველი კლიმატი იქნება ჩვენი გუნდის გასახდელში, გამარჯვების მით უფრო დიდი ჟინი ექნებათ მოთამაშეებს. დღეს ყველამ ნახა ამ ფეხბურთელების მოწადინება და გამარჯვებაც სწორედ ამ მუხტმა მოგვიტანა“.

თავისი ფეხბურთელებიდან ერიკსონმა მცველი მიკა რიჩარდსი გამოარჩია, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ რიჩარდსმა კარლოს ტევესი გააუვნებლა.

„მიკა რიჩარდსი 19 წლისაა, მე კი არ მახსოვს, ამ ასაკის, ასეთი სწრაფი და ღონიერი სხვა მცველი. სისწრაფისა და ძალ-ღონის ასეთი კომბინაცია იშვიათია. ამ ბიჭს შეუძლია ნებისმიერ თავდამსხმელს შეებრძოლოს. თუ ორთაბრძოლაში დაუშვებს შეცდომას, სისწრაფის წყალობით გამოასწორებს“.

საკუთრივ 19 წლის თავდამსხმელმა კი ასე თქვა: „თამაშის წინ ძალიან ვნერვიულობდით, მაგრამ მოედანზე რომ გავედით ყველაფერი მიწყნარდა. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია“.

„სიტის“ მეკარე კასპერ შმაიხელი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდარული მეკარის, პიტერ შმაიხელის ვაჟი:

„დიდი სამუშაო გადაგვხდა თავს. ამის გაძლებას მთელი გუნდის ერსულოვანი მონდომება სჭირდებოდა. იღბალი ერთხელ და ორჯერ გავაჭენეთ, მაგრამ ახლა ის უკვე მოგვწონს და ჩვევაში გადაგვდის“.

და ბოლოს, ისევ ერიკსონი: „ვფიქრობ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ პირველ სამ თამაშში უბრალოდ, არ გაუმართლა. მათ ბევრი მომენტი შექმნეს, მაგრმ ვერ გამოიყენეს“.

**პაპუნა ძედია**

# მაინც, ვინ არის უხეში?




**„ბლექბერნის“** გაბრაზებულმა მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა „არსენალის“ თავაკაცი არსენ ვენგერი „წელქვეშ“ დარტყმებში დაადანაშაულა.

„ბლექბერნისა“ და „არსენალის“ შეხვედრა, რომელიც 1:1 დასრულდა, საკმაოდ ძალისმიერი გამოდგა. მსაჯმა ალან ვაილიმ შვიდი ყვითელი ბარათი ამოიღო და ბლექბერნელი რაიან ნელსენი მოედნიდან გააძევა კიდეც.

მატჩის შემდეგ, „არსენალის“ თავკაცმა ვენგერმა განაცხადა:

„გუნდს, რომელიც ზედმეტად ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობდა, ჩვენ კარგად ვუპასუხეთ. იყო ეპიზოდები, როდესაც მოწინააღმდეგე ძალისმიერ ფეხბურთსაც აღარ თამაშობდა, ის უკვე ფიზიკური ანგარიშსწორების ჟინით იყო შეპყრობილი, მაგრამ „არსენალმა“ ამასაც გაართვა თავი“.

ვენგერის ასეთ განცხადებას ჰიუზმა თავის მხრივ ასე უპასუხა:

„ეს წელს ქვემოთ დარტყმაა. ამ უხეში და ნერვიული მომენტების უკან სწორედ ის იმალებოდა, რადგან უპირატესობას მისი გუნდი ფლობდა. მოედანზე ჩვეულებრივი ძალისმიერი თამაში მიმდინარეობდა და მასში გამარჯვებას




ჩვენ ვიმსახურებდით. რაც შეეხება ყველაზე დიდ უხეშობას, ეს არსენალელი რობინ ვან პერსის ნელსენზე თავდასხმა იყო“.

**პაპუნა ძედია**

# წითელქუდა და მოგონილი პენალტი






**რაფა ბენიტესმა** „ლივერპულისა“ და „ჩელსის“ შეხვედრის მსაჯი რობ სტაილზი მიწასთან გაასწორა. მიზეზი: სტაილზმა „ჩელსის“ მასპინძელთა კარში გამოგონებული პენალტი დაარტყმევინა, რის შედეგადაც, ლონდონელებმა მერსისაიდიდან ქულა წაიღეს.

„ძალიან მინდა მსაჯზე პატივისცემით ვილაპარაკო, მაგრამ როგორ მოვახერხო, როდესაც ერთადერთი, ვისაც იმ პენალტის ახსნა წესით უნდა შეეძლოს, ის არის, ოღონდ გამორიცხულია, მან რაიმე ახსნას. ტრიბუნაზე 45 ათასი ადამიანი იჯდა და წესის დარღვევა ვერც ერთმა ვერ დაინახა. სწორედ ამიტომ ვერ დაინახა ის ჟოზე მაურინიუმაც“.

იმ ეპიზოდში, როდესაც მსაჯმა პენალტი დანიშნა, „ჩელსის“ მხრივ ფლორინ მალუდა, ხოლო „ლივერპულის“ მხრივ სტივ ფინანი მონაწილეობდნენ, ოღონდ მათ შორის კონტაქტი საერთოდ იყო თუ არა, საკითხავია.

„ლივერპულის“ კაპიტანი სტივენ ჯერარდი:

„პენალტი უსამართლოდ დაინიშნა. საერთოდ, „ჩელსის“ ფეხბურთელები“ მსაჯზე მეტისმეტად ზემოქმედებდნენ და ვფიქრობ, მანაც ველარ გაუძლო. მან ისეთი პენალტი დანიშნა, რომ ჩანაწერის ნახვის შემდეგ იმედი მაქვს, ხელებს აწევს და ბოდიშს მოიხდის. ჩვენ, ფეხბურთელები საკუთარი შეცდომების შემდეგ ხშირად ვიხდით ბოდიშს, ახლა, საინტერესოა, რას იზამს არბიტრი“.

რაც შეეხება „ჩელსის“ თავკაც ჟოზე მაურინიუს, რომელიც რაფა ბენიტესმა ზემოთ უკვე მოიხსენია, მისი მტკიცებით იმ ეპიზოდში მის ფეხბურთელებს არ უთაღლითიათ და ამ თვალსაზრისით უმწიკვლონი არიან.

„ტელევიზორში ეპიზოდი ჯერ არ მინახავს, სტადიონზე კი იმ ადგილიდან 30 მეტრში ვიყავი. რაც დავინახე, ასე იყო: მალუდამ ბურთის გასატარებლად ფეხები გაშალა და ის უკნიდან წააქციეს. ვფიქრობ, ეს პენალტია. რას ვიტყვი ჩემს ფეხბურთელებზე, რომლებიც მსაჯს შემოეხვიენ? ჩემი გუნდი სრულიად გულწრფელია. ჩვენ ერთი „მყვინთავიც“ არ გვყავს, „ჩელსიში“ არ არიან უხეშები და ბინძური ტაქტიკის მიმდევარნი“.

ამაზე ბენიტესმა, რომელიც მაურინიუს გვერდით იჯდა, თქვა: „თუ მთავარი ეს არის, მაშინ მე ნამდვილი წითელქუდა ვარ. ერთი კარგად შეამოწმეთ მისი გუნდი და ნახეთ, რამდენჯერ გაუკეთებიათ ისეთი რამ, რაზეც მერე იძახიან, ცხოვრებაში არ გაგვიკეთებიაო. ბოლო სამი წლის განმავლობაში „ჩელსის“ შეხვედრებში უამრავი შემთხვევა ყოფილა, როდესაც მსაჯს მთელი გუნდი გარს შემოხვევია“.

გუშინ კი, „ლივერპული“ — „ჩელსის“ მსაჯი რობ სტაილზს განაჩენი გამოუტანეს — ფეხბურთის ასოციაციამ არბიტრი სამი მატჩით დასაჯა.

**ბაკუნა ძედია**



# ეგ წყეული იანკები

## ჩავისტა მარადონამ, არც მეტი, არც ნაკლები, ბუშს შეუტია

**დიეგო მარადონა** ახლა ვენესუელაშია, თავის მეგობარს უგო ჩავესს სტუმრობს და ტრადიციულად მსოფლიოს სკანდალური განცხადებებით აკვირვებს. გუშინწინ ლეგენდარული კაცი პრეზიდენტმა ჩავესმა თავის სატელევიზიო გადაცემაში მიიწვია და დიეგომაც შანსი ხელიდან არ გაუშვა, ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და „იანკი იმპერიალისტები“ აუგად რომ არ ეხსენებინა.

გადაცემის სახელია „ალო, პრეზიდენტე“, ემოციური მარადონა კი, ვინძლო, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ჩავესის მიერ „სატანად“ მიჩნეულ ჯორჯ ბუშს რანაირადაც შეამკობდა (უგო ჩავესი ხომ ფეხბურთის მეფის ძმაბიჭია).

„ვენესუელა შესანიშნავი ქვეყანაა. აქ ხალხი მშვენივრად ხვდება, თუ რას წარმოადგენს მათთვის უგო ჩავესი და ასევე იციან, ვინ არიან წყეული იანკები. სამწუხაროა, რომ ჩემს სამშობლოში, არგენტინაში იანკების ისევ სჯერათ. მე კი უგო ჩავესის მჯერა, ვიცი, რომ ის თავისი ქვეყნისთვის კეთილ საქმეს აკეთებს“ — განაცხადა დიეგომ და მერე აღნიშნა, ნამდვილი „ჩავისტა“ (ჩავესის მომხრე) ვარო.

თავის დროზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სიტყვით გამოსულმა ჩავესმა პირჯვარი გადაიწერა — აქაოდა, ჩემამდე ამ ტრიბუნასთან ჯორჯ ბუში იდგა და „სატანამ“ ემანდ რამე არ მავნოსო. მარადონაც უგოს აზრზეა: „მე იმპერიალისტების ტყუილებზე გავიზარდე. სულით და გულით მძულს ყოველივე ის, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებს უკავშირდება. მხარს ვუჭერ ფიდელ კასტროს და ჩავესს იმპერიალისტებთან ბრძოლაში. მათი სიტყვა და საქმე უფრო მისაღებია ჩემთვის, ვიდრე ჯორჯ ბუშის დამპყრობლური საქციელი. მართალი იყო უგო, როდესაც ამერიკელს სატანა უწოდა. ჩვენ ჩვენი სამშობლოს შესანარჩუნებლად უნდა ვიბრძოლოთ, იმ სამშობლოსი, რომელსაც ჩრდილოამერიკელები გვეცილებიან“.

**ლადო ხომერიკი**

# ძმობა, ერთობა, თანამშრომლობა

## კოშტინია ატალანტაში მასწავლებელთან მივიდა




**მადრიდის** „ატლეტიკოს“ ყოფილი ნახევარმცველი, პორტუგალიელი ფრანსისკო კოშტინია იტალიურ „ატალანტაში“ გადავიდა. ჟურნალ „ა ბოლას“ ცნობით, 32 წლის ვეტერანი ფეხბურთელი აპენინურ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით მივიდა და იქ სამ სეზონს გაატარებს.

კოშტინიამ მარცხენა მუხლის ტრავმა ახლახან მოირჩინა, პორტუგალიურ მედიაში ამიტომაც გამოითქვა ეჭვი, რომ ნახევარმცველს შეიძლება „ატალანტაში“ სამედიცინო შემოწმება ვერ გაევლო, თუმცა ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა და ექსატლეტიკოელიც იტალიაში გადაბარგდა.

პორტუგალიელს მადრიდულ კლუბთან კონტრაქტით კიდევ ერთი წლით უწევდა თანამშრომლობა, თუმცა იგი „ათლეტთა“ მწვრთნელ ხავიერ აგირეს სამომავლო გეგმებში აღარ შედიოდა და გუნდის დატოვებაც ამად გადაწყვიტა. თან „ატლეტიკომ“ წლეულს რამდენიმე ახალი ფეხბურთელი შეიძინა, რის გამოც კოშტინიამ ძირითადში მოხვედრის შანსი დაკარგა.

ახლა იგი „ატალანტაში“ ლუიჯი დელ ნერის შეგირდი იქნება. ესენი ერთად ადრეც მუშაობდნენ, 2004-2005 წლების სეზონში, როცა დელ ნერი „პორტუს“ წვრთნიდა, კოშტინია კი გუნდის კაპიტანი გახლდათ.

**ლადო ხომერიკი**

# ბერლუსკონიმ ბარსელონა რონალდინიოთი დაღალა



**სილვიო ბერლუსკონის** კვირას იტალიური „კორიერე დელო სპორტი“ გაესაუბრა. ჟურნალისტებმა „მილანის“ პატრონს რონალდინიოს „სან სიროზე“ შესაძლო გადაბარგების შესახებ ჰკითხეს, რაზეც დონ სილვიომ მიუგო: „როდესაც დემეტრიო ალბერტინის საბენეფისო მატჩი მოვაწყვეთ, „ბარსელონას“ პრეზიდენტ ხუან ლაპორტას ვუთხარი, რონალდინიო და კაკა ყოველწლიურად ხომ არ გავცვალოთ-მეთქი. მან გაიღიმა და მიპასუხა — რატომაც არა?“

ალბერტინის გამოსათხოვარი მატჩი 2006 წლის აპრილში შედგა, ბერლუსკონი კი უკვე კარგა ხანია, რონალდინიოს უტრიალებს. ხოლო კაკა, საიდუმლო უკვე აღარაა, რომ „ბარსელონას“ მარადიული მეტოქის, მადრიდის „რეალის“ აუხდენელი ოცნებაა. სილვიო ბერლუსკონის ოცნება კი რონალდინიოს შეძენაა, რასაც იტალიელი დაუფარავად აცხადებს.

„ბარსელონას“ თავკაცობა კი აპენინელთა მოძალებისგან დაიღალა. უკვე მერამდენედ უნდა ვთქვათ, რომ რონალდინიო არ იყიდებაო — უთხრა „მარკას“ კატალონიური გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა ფერან სორიანომ.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა






# ტოტიმ პენალტი არ დაარტყა

## შესული არ მენახო, გამოდიო...

**იტალია**

**სუპერთასი**

**ინტერი 0:1 რომა**

0:1 დე როსი (78პ)

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ბურდისო (ხ. კრუზი 86), კორდობა, მატერაცი, კივუ, ხ. ძანეტი, ვიეირა (კამბიასო 67), დაკური (ფიგუ 52), სტანკოვიჩი, სუაზო, იბრაჰიმოვიჩი

**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი

**რომა:** დონი, კასეტი, პანუჩი, მექსეში, ტონეტო, დე როსი, აკვილანი, ვუჩინიჩი (როზი 90), ჟული, ტადეი (ბრიგი 73), ტოტი

**მწვრთნელი:** ლუჩანო სპალეტი

**გაფრთხილება:** ტონეტო, იბრაჰიმოვიჩი, პანუჩი, ბურდისო, სტანკოვიჩი, მექსეში, მატერაცი, დონი

**გაძევება:** პეროტა (71, „რომას“ სათადარიგოთა სკამზე)

**მსაჯი:** როზეტი

**50 000 მაყურებელი**

**დანიელე დე როსის** პენალტმა „რომას“ სეზონის პირველი ჯილდო, იტალიის სუპერთასი მოუტანა — „ჯალოროსიმ“ „ინტერს“ „სან სიროზე“ 1:0 მოუგო.

ეს ორი გუნდი გასულ სეზონში სკუდეტოსა და იტალიის თასისთვის ებრძოდნენ ერთმანეთს, ახლა კი მესამე ჯილდოს გამო მოუხდათ „ხმლების გადაჯვარედინება“.

უცნაური აი, რა გახლდათ: „ინტერმა“, რატომღაც ადრიანო არ ათამაშა და დისკვალიფიცირებულ დუგლას მაიკონს ტრიბუნაზე მოუსვა გვერდით. დაცვაში კრისტიან კივუ იდგა. ის, გაჭიანურებული და გახმაურებული სატრანსფერო საგის შემდეგ თავისი ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ გამოდიოდა.

სტუმრებმა პირველი საგოლე მომენტი მე-6 წუთზე შექმნეს და უნდა ითქვას, რომ ეს ნამდვილი მომენტი გახლდათ, აუცილებლად გოლით რომ უნდა დასრულებულიყო, ოღონდ, მაქს ტონეტოს პასით ლუდოვიკ ჟიულიმ ვერ ისარგებლა და ბურთი კარს გადააცილა. მალე ჟულიო სეზარმა მირკო ვუჩინიჩის დარტყმულიც მოიგერია.

საერთოდ, თამაშის პირველ წუთებში ინიციატივა ლუჩანო სპალეტის ქვეშევრდომებს ჰქონდათ, მაგრამ როდესაც დავიდ სუაზომ კონტრშეტევა წამოიწყო, ტონეტო იძულებული გახდა, ის ყვითელი ბარათის ფასად შეეჩერებინა. ზლატან იბრაჰიმოვიჩმა კი ყვითელი ბარათი ენის ჭარტალის გამო მიიღო.

საერთოდ, „რომა“ ქების ღირსია. მაგალითად, ფრანჩესკო ტოტიმ და ჟიულიმ ჩინებული კომბინაცია გაითამაშეს, თუმცა მარკო მატერაციმ რომაელთა ფრანგი თავდამსხმელი შუა დრიბლიგის დროშ წააქცია და დაზარალებულმა, და მისმა თანაგუნდელებმა, ბუნებრივია, პენალტი მოითხოვეს. სხვათა შორის, ეს ეპიზოდი ამით არ დასრულებულა, ჟიულიმ ბრძოლა განაგრძო და მეკარის ბაქნიდან ერთხელაც სცადა ბედი, მაგრამ დარტყმა ჟულიო სეზარმა მოიგერია.

სუაზოს მეორე კონტრშეტევა ფეხის დაცდენით დასრულდა, პანუჩიმ და ნიკოლა ბურდისომ კი იდაყვის გაკვრის გამო იძიძგილავეს და მანამ არ გაჩერდნენ, სანამ ორივემ ყვითელი ბარათი არ მიიღო.

საინტერესოა, რომ „ინტერი“ ნახევარდაცვაში ვერ ყოჩაღობდა, თუმცა სუაზოც და იბრაჰიმოვიჩიც შორიდან ჩინებულად არტყამდნენ.

შემდეგ, ერთ ეპიზოდში ჟულიო სეზარმა ბურთი კომიკურად მოიგერია და ამით „რომამ“ კინაღამ ისარგებლა.

შესვენების შემდეგ ისევ სუაზომ იაქტიურა და ამჯერად დონიმ მოიგერია ფეხებით.

ტოტის ჩინებული პასით ჟიულის კვლავ შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ფრანგმა კვლავ ახლოდან ააცილა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად რობერტო მანჩინიმ ოლივიე დაკურის ნაცვლად ლუიშ ფიგუ შეიყვანა მოედანზე. შემდეგ მატერაციმ ტოტი უკნიდან მოცელა და ყვითელი ბარათი მიიღო, კორდობას მიერ დანიელე როსის წაქცევისთვის კი „რომა“ კიდევ ერთხელ ითხოვდა პენალტს.

სუაზომაც საუცხოო შანსი გაუშვა ხელიდან — პირდაპირ მეკარე დონის დაუმიზნა ხელებში.

69-ე წუთზე კი დიდი არეულობა ატყდა: ჯერ „რომამ“ ურტყა „ინტერის“ კარის მიმართულებით ზედიზედ რამდენჯერმე და უნდა ითქვას, რომ ერთი დარტყმული ლუიშ ფიგუს ხელშიც კი მოხვდა... ხოლო მერე, საპირისპირო კართან ატყდა ალიაქოთი: ფიგუმ მეკარე დონი მოატყუა, მაგრამ ბრაზილიელმა გოლკიპერმა ბოლოწამს მაინც მოახერხა ბურთისთვის თითების წაკვრა.

რამდენიმე წამში სიმონე პეროტამ მოედანზე შესვლა ვერ მოასწრო, რომ მსაჯმა გააგდო — აუტის ხაზთან ხურდებოდა, როდესაც რაღაც შეიგინა, მეოთხე მსაჯმა მთავარი იხმო და წითელიც აფრიალდა.

მერე, ბურდისო ისევ ტოტის დაესხა თავს და „მესამე და სამართლის“ პრინციპით, პენალტიც დაინიშნა: ტოტიმ, რომელმაც ბოლო რამდენიმე პენალტი ვერ გაიტანა, ამჯერად თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან დე როსი მიუშვა...

**ბაკუნა ძიდია**

# იუვე იტალიური ადათის წინააღმდეგ

**„იუვენტუსის“** ქომაგები ამ სეზონში საყვარელი გუნდისგან სკუდეტოსთვის ბრძოლას ელიან, ჟურნალ Calcio Italia-ს მიმომხილველი ანტონიო ლაბატე კი, მათგან განსხვავებით, საპირისპიროს ამტკიცებს. ის დარწმუნებულია, რომ „შავ-თეთრებისთვის“ 2007-2008 წლების სეზონი წარმოუდგენლად რთული გამოდგება.

ჟურნალისტის რწმენით, ამ სეზონში „იუვეტუსის“ ჩემპიონობა მხოლოდ მისი წონისთვის წარმოუდგენლად დიდი სიმძიმის აწევას კი არა, ისტორიის თავიდან დაწერასაც ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ „ბებერი ქალბატონი“ ნახევარკუნძულის ყველაზე ტიტულიანი გუნდია, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, გუნდი რომელიც სერია A-ში ალზევდა, პირველსავე სეზონში ჩემპიონი გამხდარიყო.



ჯანლუიჯი ბუფონს იტალიის ჩემპიონობა წლეულსვე უნდა

მიუხედავად ამისა, „იუვეს“ მეკარე, ცნობილი ჯიჯი ბუფონი, რომელიც ერთი ხანობა კლუბთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არ აპირებდა, მაგრამ დაიყოლიეს, ამტკიცებს, რომ ოცნების უფლება ყველას აქვს.

„მე ამბიციური კაცი ვარ და ახლა, სეზონის წინ, ოთხეულში შესვლა რომ შემომთავაზოთ, უარს გეტყვით, რადგან ოთხეული არ დამაკმაყოფილებს. არც მეორე ადგილს დავჯაბულდები. საქმე ისაა, რომ ბოლო სეზონს თუ არ ჩავთვლით, პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები, ფაქტობრივად, ერთნაირ ქულებს აგროვებენ.

2008 წლის ჩემპიონობა ზღაპარი იქნება. ამისათვის ჩვენ მთელი ძალითა და ღონით უნდა ვიბრძოლოთ და არ უნდა დავკარგოთ პროვინციული გუნდის ფსიქოლოგია, ის, რაც მაშინაც კი გვახასიათებდა, როდესაც დიდი გუნდი გვყავდა. ეს სწორედ ის გახლავთ, რაც გამარჯვებისკენ გიბიძგებს და, რაც ახლა ისე გვჭირდება, როგორც არასდროს“.

სერია A-ს ისტორიაში ახალაღზევებულმა გუნდმა ბოლოს დიდი ეფექტი 1977-78 წლებში მოახდინა. ეს გახლდათ „ვიჩენცა“, რომელშიც პაოლო როსი გამოდიოდა. ის „ვიჩენცა“ მეორე ადგილზე გავიდა, სწორედ „იუვეს“ ჩამორჩა ხუთი ქულით, ხოლო პირადად როსიმ 24 გოლი გაიტანა და ბომბარდირის ჯილდო მიიღო.

მანამდე, დაახლოებით ასეთი რამ, 1972-ში გააკეთა „ლაციომ“ — მესამეზე გავიდა, 1966-ში კი იგივე „ნაპოლიმ“ შეძლო.

ახლა, იტალიას გავცდეთ და სხვა ქვეყნებს გადავხედოთ: ინგლისში ახალი გუნდი ხუთჯერ გამხდარა ჩემპიონი, ხოლო ჰოლანდიაში, გერმანიასა და საფრანგეთში შვიდჯერ. ბოლოს, გუნდი, რომელიც უმაღლეს ლიგაში ავიდა და პირველსავე წელიწადს ჩემპიონი გახდა, ოტო რეჰაგელის „კაიზერსლაუტერნი“ გახლდათ, ასე რომ, ევროპული მაგალითები არსებობს.

შეძლებს კი „იუვენტუსი“ იტალიური ადათის დანგრევას?

ცხრა თვეში ყველაფერი გამოჩნდება.

**ბაკუნა ძიდია**

# ისინი ისტორიაში შევიდნენ

## და რა შუაშია ბეტისი?




**ესპანეთი**

**სუპერთასი**
**საპასუხო მატჩი**

**რეალი 3:5 სევილია (0:1)**

0:1 რენატო (16), 1:1 დრენტე (23), 1:2 რენატო (28), 1:3 კანუტე (37პ), 2:3 კანავარო (44), 3:3 რამოსი (78), 3:4, 3:5 კანუტე (81, 90)

რეალი: კასილიასი, ს. რამოსი, კანავარო, პეპე, მ. ტორესი (გუტი 46), დიარა, დრენტე, სნეიდერი (ბაპტისტა 83), რობინიო, რაული (სავიოლა 63), ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი

სევილია: პალოპი, დანი ალვეში, ფასიო, დრაგუტინოვიჩი, მოსკერა (კეიტა 46), მარტი, პოულსენი, ხესუს ნავასი, დუდა (კერჟაკოვი 70), რენატო (მარესკა 80), კანუტე

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: დანი ალვეში, პეპე, გუტი, რამოსი, დუდა, რენატო, მარესკა, პეპე

გაძევება: პეპე (90)

მსაჯი: უნდიანო მალენკო

80 000 მაყურებელი

„სევილიამ" „სანტიაგო ბერნაბეუზე" ისე აიკლო მადრიდის „რეალი", რომ მეორე დღეს ესპანურმა გაზეთებმა დაწერეს, ხუანდე რამოსის გუნდს ალბათ, კვირას ტაშს „ბეტისის" გულშემატკივრებიც კი უკრავდნენო (გეხსომებათ, „ბეტისი" და „სევილია" თანაქალაქელები და მოსისხლე მტრები არიან). აპლოდისმენტები და ოვაციები ხუანდე რამოსის ბიჭებს მართლაც ეკუთვნოდათ, ანდალუზიური კლუბის ხანგრძლივ ისტორიაში ყველაზე საუკეთესო შემადგენლობამ კვირა ღამით „ბერნაბეუ" დაიპყრო და ესპანეთის სუპერთასიც ღირსეულად ჩაიბარა.

„ისინი ისტორიაში შევიდნენ" — წერდა ესპანური „მარკა" თამაშის შემდეგ. რამოსის შეგირდებმა მადრიდში ხუთი გოლის გაიტანეს, მათმა მეტოქე „რეალმა" კი სამი ბურთის შეგდება შეძლო, თუმცა „სანტიაგო ბერნაბეუსა" და საერთოდ, მთელ ქვეყანას აჩვენა, რომ „სამეფო კლუბში" კვლავაც ბევრია ეჭვი და გაურკვევლობა.

პირველი გოლი სტუმართა ბრაზილიელმა რენატომ კრისტიან პოულსენის პასით გაიტანა და ჯადოსნურ მატჩში გოლთაცვენას დაუდო სათავე. 23-ე წუთზე როისტონ დრენტემ გაათანაბრა ანგარიში. „რეალის" ახალწვეული ჰოლანდიელის საფეხბურთო კრედო რობერტო კარლოსი გახლავთ და დრენტემაც ანდრეს პალოპის კარი სახელგანთქმული ბრაზილიელის სტილში, შორეული დარტყმით შელეწა.

ჰოლანდიელის უძლიერესმა გასროლილმა „რეალი" თითქოს გამოაფხიზლა, „სამეფო თეთრებმა" რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტიეს, თუმც იმავ რენატომ მასპინძლებს მალე კვლავ გაუხეთქა გული — ამჯერად თავურით აჯობა იკერ კასილიასს.

შემდეგ იყო პეპეს ბავშვური შეცდომა და ფრედი კანუტის აულებელი პენალტი. პორტუგალიელმა პეპემ თავის საჯარიმოში ითამაშა ხელით და „სევილიას" აფრიკელმაც 1:3 გახადა ანგარიში.

ბერნდ შუსტერმა შესვენების შემდეგ ხოსე მარია გუტის უხმო მოედანზე. „რეალის" მეთოთხმეტე ნომრის დანიშნულება ნათელი იყო — მას ლიდერობა საკუთარ თავზე უნდა აეღო, მატჩი გადაერჩინა, რაც მისთვის უცხო ნამდვილად არ გახლავთ. მადრიდელები ხსნასთან მართლა ახლოს იყვნენ, ფაბიო კანავარომ და სერხიო რამოსმა თავურებით მატჩის მიწურულს ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ გუშინწინ შეუჩერებელმა კანუტემ კიდევ ორი გოლი შეაგდო და „რეალის" განადგურებას წერტილი დაუსვა.

**ლადო ხომერიკი**

# სევილიელი დალაქი



## ხუანდე რამოსი ყველას და ყველაფერს პარსავს

2006 წლის 11 მაისს „სევილიამ" უეფას თასი მოიგო და მას შემდეგ ანდალუზიელები გამარჯვებათა სერიას აგრძელებენ. უეფას მერე ევროპის სუპერთასი, შემდეგ ისევ უეფას თასი, მერე კოპა დელ რეი და კვირას პირველი გამარჯვებიდან 15 თვის თავზე ახლა უკვე ესპანეთის სუპერთასი. ერთი სიტყვით, „სევილია" გრანდებში გაერია. ანდალუზიელთა გამარჯვებების მთავარ შემოქმედს, მწვრთნელ ხუანდე რამოსს ნამატჩევს მადრიდული „ასი ესაუბრა

**— თვლით, რომ „სევილიამ" ყველანაირ პროგნოზს გადააჭარბა?**

— ეს გამარჯვება ბუნებრივად, ჩვეულებრივად უნდა ავიქვათ. ცხადია, ტრიუმფით ყველანი გახარებული ვართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საამსეზონოდ მხოლოდ ესპანეთის სუპერთასით დავკმაყოფილდებით. წინ კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი მატჩი გველის, ევროპის სუპერთასისა და ჩემპიონთა ლიგისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

**— „რეალის" წინააღმდეგ ფასიომ და მოსკერამ ითამაშეს. საერთოდაც, ბევრ ცვლილებას მიმართავთ, მაგრამ „სევილია" მატჩებს კვლავაც დამაჯერებლად იგებს. რა აქვს თქვენს გუნდს ისეთი, რომ მის სიძლიერეზე ცვლილებები არ მოქმედებენ?**

— ეს მართალია, ვინც უნდა ითამაშოს ჩვენთან, შედეგი ისევ დადებითი იქნება. ჩვენ ხუთი ფინალი ვითამაშეთ და ხუთივეში გავიმარჯვეთ. გუნდი თავის სიძლიერეშია დარწმუნებული და ბევრი გოლიც გააქვს.

**— „რეალზე" რას გვეტყვით? ბერნდ შუსტერმა აღნიშნა, რომ მის გუნდს დაცვაში ცუდად არ უთამაშია...**

— მადრიდელებზე საუბრისგან თავს შევიკავებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ „სევილიამ" ხუთი გოლი გაიტანა და შეტევაში მეტოქეზე ძლიერი იყო. ჩვენმა გუნდმა შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარა.

**— წლეულს ყველა ჯილდოს მოგებას აპირებთ?**

— როცა საქმე კარგად მიდის, დანაშაულია, შენი შანსები რომ არ გამოიყენო. ბოლო ორი წლის განმავლობაში „სევილიას" შანსები ხელიდან არ გაუშვია... თუმცა, გამარჯვებისკენ მომავალი გზა ყოველთვის ია-ვარდით მოფენილი არ იქნება, ფეხბურთი მოულოდნელობებით არის სავსე და ნებისმიერ მომენტში შეიძლება ვითარება შეიცვალოს. ამიტომაც, მოდუნებას ჩვენთან არავინ აპირებს. ესპანეთის სუპერთასზე გამარჯვება კი ჩვენი ფეხბურთელების დამსახურებაა, ბიჭებმა ივაჟკაცეს, საქმეს ერთობლივად ვაკეთებდით. მინდა, „სევილიას" გულშემატკივრებს ეს ჯილდო მივულოცო.

**— დანიელ ალვეში ძირითადში დარჩება?**

— რა თქმა უნდა. ვიდრე ალვეში „სევილიაში" თამაშობს, მას ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ.

**— თქვენს სამომავლო გეგმებზეც ვისაუბროთ: „ტოტენჰემმა" მიგიწვიათ სამუშაოდ...**

— „სევილიაში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ. კონტრაქტით კიდევ ერთი წელი დამრჩა და როცა ეს ვადა დასრულდება, სამომავლო გეგმებზე მერე ვილაპარაკოთ.


ხოსე მარია გუტი შესაძლოა, მეუღლითურთ მანჩესტერში აღმოჩნდეს

# შვედმა გუტი მოიკითხა

## ერიქსონი რეალელს ძირითადს ჰპირდება

**„მანჩესტერ სიტი"** ხოსე მარია გუტის შეძენით დაინტერესდა. ალბიონელთა შვედი მწვრთნელი სვენ-გორან ერიკსონი თავისი კლუბისთვის გამოცდილ ცენტრალურ ნახევარმცველს, თამაშის ორგანიზატორს ეძებს და ინგლისური მედიის ცნობით, შვედის ფავორიტი სწორედ „რეალის" ფეხბურთელია.

„სიტი" სამეფო გუნდს გუტიერესის სანაცვლოდ 7,5 მილიონ ევროს სთავაზობს. შეგახსენებთ იმასაც, რომ „რეალმა" ახლახან გუტის მსურველი „ტოტენჰემის" ცხრამილიონიანი შეთავაზება უარყო. ასე რომ, მანჩესტერელებს ჯიბეზე უფრო გულუხვად მოუწევთ ხელის გაკვრა. სავარაუდოდ, „სიტი" მაზანდას 10 მილიონ ევრომდე გაზრდის.

ხოსე მარია გუტი 31 წლისაა და უკვე დაიღალა იმით, რომ „რეალი" ყოველ წელიწადს მის პოზიციაზე მოთამაშე ფეხბურთელს ყიდულობს. წლეულს „ბერნაბეუზე" ჰოლანდიელი უესლი სნეიდერი მივიდა, რაც გუტის წისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს. მაგალითად, „სევილიასთან" სუპერთასისთვის მატჩში, სნეიდერი ძირითადში იყო, „მანჩესტერ სიტის" სასურველი ნახევარმცველი კი მოედანზე მხოლოდ მეორე ტაიმში გამოჩნდა.

„რეალის" მწვრთნელი ბერნდ შუსტერი გუტის მადრიდში დარჩენის მომხრეა, თუმცა, თუ მან „სამეფო გუნდში" გააგრძელა კარიერა, ვინძლო ისევ სათადარიგოებში აღმოჩნდეს. გუტი კი ნაკრებზეც ფიქრობს. მას ეროვნულ გუნდში ადგილის განსამტკიცებლად კლუბში მუდმივად თამაში სჭირდება.

**ლადო ხომერიკი**

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 15:45 | 1 | სანდერლენდი-ლივერპული | 5.30 | 3.50 | 1.60 | 2.10 | 1.22 | 1.09 |
| 18:00 | 2 | ვესტ ჰემი-უიგანი | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 18:00 | 3 | არსენალი-სიტი | 1.55 | 3.70 | 5.80 | 1.09 | 1.22 | 2.25 |
| 18:00 | 4 | ასტონ ვილა-ფულემი | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 18:00 | 5 | ბოლტონი-რედინგი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 18:00 | 6 | ჩელსი-პორტსმუთი | 1.30 | 4.70 | 9.00 | 1.01 | 1.13 | 3.08 |
| 18:00 | 7 | დერბი-ბირმინგემი | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| 20:15 | 8 | ევერტონი-ბლექბერნი | 2.00 | 3.20 | 3.70 | 1.23 | 1.29 | 1.71 |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 16:30 | 9 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 2.45 | 3.20 | 2.80 | 1.38 | 1.30 | 1.49 |
| 19:00 | 10 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1.55 | 3.80 | 5.80 | 1.10 | 1.22 | 2.29 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 20:30 | 111 | ბრაუნშვაიგი-უნ ბერლინი | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| | | **22 აგვისტო** | | | | | | |
| 16:00 | 112 | ვერდერი(მ)-მაგდებურგი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 157 | იუვენტუსი-ლივორნო | 1.25 | 4.70 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.19 |
| 20:00 | 159 | ლაციო-ტორინო | 1.75 | 3.10 | 5.00 | 1.11 | 1.29 | 1.91 |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 156 | ინტერი-უდინეზე | 1.25 | 4.70 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.19 |
| 17:00 | 158 | ფიორენტინა-ემპოლი | 1.50 | 3.20 | 8.00 | 1.02 | 1.26 | 2.28 |
| 17:00 | 160 | ნაპოლი-კალიარი | 1.90 | 3.00 | 4.30 | 1.16 | 1.31 | 1.76 |
| 17:00 | 161 | პალერმო-რომა | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| 17:00 | 162 | პარმა-კატანია | 1.85 | 3.00 | 4.40 | 1.14 | 1.30 | 1.78 |
| 17:00 | 163 | რეჯინა-ატალანტა | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| 17:00 | 164 | სიენა-სამპდორია | 2.60 | 2.90 | 2.70 | 1.37 | 1.32 | 1.39 |
| 17:00 | 165 | ჯენოა-მილანი | 6.20 | 3.10 | 1.65 | 2.06 | 1.30 | 1.07 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 166 | ალბინოლეფე-სპეცია | 2.15 | 2.80 | 3.40 | 1.21 | 1.31 | 1.53 |
| 18:00 | 167 | ასკოლი-პიაჩენცა | 2.15 | 2.80 | 3.40 | 1.21 | 1.31 | 1.53 |
| 18:00 | 168 | ბარი-პიზა | 1.70 | 3.00 | 5.20 | 1.08 | 1.28 | 1.90 |
| 18:00 | 169 | ბოლონია-რიმინი | 1.85 | 2.80 | 4.55 | 1.11 | 1.31 | 1.73 |
| 18:00 | 170 | ბრეშა-ვიჩენცა | 1.65 | 3.10 | 5.30 | 1.07 | 1.25 | 1.95 |
| 18:00 | 171 | ჩეზენა-კიევო | 2.85 | 2.80 | 2.45 | 1.41 | 1.31 | 1.30 |
| 18:00 | 172 | ფროზინონე-ლეჩე | 2.85 | 2.80 | 2.45 | 1.41 | 1.31 | 1.30 |
| 18:00 | 173 | მანტოვა-რავენა | 1.60 | 3.10 | 6.00 | 1.05 | 1.26 | 2.04 |
| 18:00 | 174 | მოდენა-გროსეტო | 1.75 | 2.90 | 4.80 | 1.09 | 1.28 | 1.80 |
| 17:00 | 175 | ტრევიზო-აველინო | 1.65 | 3.10 | 5.30 | 1.07 | 1.25 | 1.95 |
| 18:00 | 176 | ტრიესტინა-მესინა | 2.65 | 2.80 | 2.65 | 1.36 | 1.32 | 1.36 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 532 | მანდალი-ჰაუგესუნდი | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 374 | სუნდსვალი-ჰეკენი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **22 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 407 | ვაშინგტონი-ნიუ იორკი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 23:45 | 408 | კანზასი-ჩიკაგო | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 23:00 | 425 | ხიმნასია ლპ-რივერ პლეიტი | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 457 | გერმანია21-ირლანდია21 | 1.30 | 4.00 | 6.00 | 1.00 | 1.06 | 2.40 |
| 23:00 | 458 | იტალია21-საფრანგეთი21 | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 21:30 | 515 | შვედეთი 21-უელსი 21 | 1.35 | 3.80 | 6.00 | 1.00 | 1.10 | 2.32 |
| | | **22 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 459 | ბულგარეთი-უელსი | 1.40 | 3.70 | 7.50 | 1.01 | 1.17 | 2.47 |
| 20:30 | 460 | ლატვია-მოლდოვა | 1.80 | 3.20 | 3.50 | 1.15 | 1.18 | 1.67 |
| 21:00 | 461 | ბელორუსი-ისრაელი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 462 | რუსეთი-პოლონეთი | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| 20:00 | 463 | უკრაინა-უზბეკეთი | 1.20 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.10 |
| 21:00 | 465 | ალბანეთი-მალტა | 1.22 | 4.60 | 9.00 | 1.00 | 1.07 | 3.04 |
| 21:00 | 466 | ბოსნია-ხორვატია | 3.00 | 3.00 | 2.15 | 1.50 | 1.25 | 1.25 |
| 22:30 | 467 | საბერძნეთი-ესპანეთი | 2.80 | 3.00 | 2.30 | 1.44 | 1.26 | 1.30 |
| 21:00 | 468 | ლიტვა-თურქმენეთი | 1.18 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.05 | 3.33 |
| 21:00 | 469 | მაკედონია-ნიგერია | 4.00 | 3.20 | 1.75 | 1.77 | 1.21 | 1.13 |
| 20:30 | 470 | ბრაზილია-ალჟირი ნ | 1.15 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.43 |
| 21:00 | 471 | ნორვეგია-არგენტინა | 4.20 | 3.20 | 1.75 | 1.81 | 1.23 | 1.13 |
| 19:00 | 516 | სლოვაკეთი 21-რუმინეთი 21 | 2.00 | 3.10 | 3.35 | 1.21 | 1.25 | 1.61 |
| 22:00 | 517 | დანია-ირლანდია | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 22:00 | 518 | ისლანდია-კანადა | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 22:00 | 519 | რუმინეთი-თურქეთი | 1.80 | 3.20 | 3.55 | 1.15 | 1.19 | 1.68 |
| 22:00 | 520 | შვეიცარია-ჰოლანდია | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| 22:30 | 521 | ავსტრია-ჩეხეთი | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| 22:30 | 522 | ჩერნოგორია-სლოვენია | 3.00 | 3.10 | 2.05 | 1.52 | 1.21 | 1.23 |
| 22:30 | 523 | შვედეთი-აშშ | 1.60 | 3.30 | 5.20 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 22:50 | 524 | უნგრეთი-იტალია | 5.60 | 3.40 | 1.50 | 2.11 | 1.18 | 1.04 |
| 23:00 | 525 | ინგლისი-გერმანია | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 23:00 | 526 | სლოვაკეთი-საფრანგეთი | 5.00 | 3.30 | 1.60 | 1.98 | 1.21 | 1.07 |
| 23:00 | 527 | შოტლანდია-სამ აფრიკა | 1.35 | 3.70 | 6.85 | 1.00 | 1.12 | 2.40 |
| 23:45 | 528 | ეკვადორი-ბოლივია | 1.40 | 3.70 | 6.50 | 1.01 | 1.15 | 2.35 |
| 23:45 | 529 | კოლუმბია-მექსიკა ნ | 2.60 | 3.00 | 2.35 | 1.39 | 1.23 | 1.31 |
| 23:45 | 530 | პარაგვაი-ვენესუელა | 1.35 | 3.70 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.42 |
| 23:45 | 531 | კოსტა რიკა-პერუ | 2.05 | 3.10 | 2.85 | 1.23 | 1.19 | 1.48 |
| | | **ეჩ. 2008 შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **22 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 472 | სომხეთი-პორტუგალია | 12.00 | 5.50 | 1.15 | 3.77 | 1.04 | 1.00 |
| 22:45 | 473 | ბელგია-სერბეთი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 22:00 | 474 | ესტონეთი-ანდორა | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 20:00 | 475 | ფინეთი-ყაზახეთი | 1.15 | 5.80 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.91 |
| 22:45 | 476 | ჩრდ.ირლანდია-ლიხტენშტეინი | 1.14 | 5.60 | 14.00 | 1.00 | 1.05 | 4.00 |
| 23:00 | 477 | სან მარინო-კვიპროსი | 10.00 | 5.20 | 1.20 | 3.42 | 1.07 | 1.00 |
| | | **ირლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 533 | სლიგო-უოტერფორდი | 1.50 | 3.65 | 5.15 | 1.06 | 1.16 | 2.13 |
| | | **მსოფლიო ჩემპიონატი (17) სამხ. კორეა** | | | | | | |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 12:00 | 482 | ტონგო17-პერუ17 | 3.30 | 3.20 | 1.85 | 1.62 | 1.18 | 1.17 |
| 12:00 | 483 | ახ. ზელანდია17-ინგლისი17 | 15.00 | 8.50 | 1.03 | 5.42 | 1.00 | 1.00 |
| 15:00 | 485 | კოსტა რიკა17-სამხ. კორეა17 | 3.30 | 3.20 | 1.80 | 1.62 | 1.16 | 1.15 |
| | | **22 აგვისტო** | | | | | | |
| 12:00 | 486 | სირია17-ესპანეთი17 | 6.50 | 4.30 | 1.25 | 2.58 | 1.04 | 1.00 |
| 15:00 | 489 | არგენტინა17-ჰონდურასი17 | 1.30 | 4.20 | 6.50 | 1.00 | 1.08 | 2.55 |

# იმედის ციალი: პოტენციალი

## საქართველო ლუქსემბურგით იწყებს და ძველ წყენას არ ივიწყებს




ფოტო

**დღეს** საქართველოს ნაკრები ლუქსემბურგში მატჩით A დივიზიონისკენ მიმავალი რთული და საბედისწერო გზის მეორე ნაწილს შეუყვება. საბედისწეროს იმიტომ, რომ ერთი ფეხის დაცდენაც B დივიზიონში ჩარჩენის ტოფასია — კენ შილდსის გუნდმა ჯგუფში დარჩენილი ოთხივე მატჩი უნდა მოიგოს, პლეი ოფში რომ გავიდეს, საიდანაც ელიტარული დივიზიონი უკვე ერთი ხელის გაწვდენაზეა. პლეი ოფამდე ქართველებს დიდი ჯახები ელოდებათ და მანამდე ლუქსემბურგთან მატჩი მოთელვასავით უნდა გამოვიდეს.

საქართველოს ნაკრების ამბიციის გათვალისწინებით, დღევანდელ მატჩზე არც ღირს ნერვიულობა. კი, ბატონო, ყველა მეტოქესთან მაქსიმალური მობილიზებაა საჭირო და მოდუნებას არავინ გაპატიებს, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ქართველები დღეს საღამოს მორიგ გამარჯვებას ჩაიწერენ აქტივში.

არადა, ჩვენს ნაკრებს უკვე უწვნევია ჯუჯა ლუქსემბურგთან დამარცხების სიმწარე, თუმც მაშინდელ და დღევანდელ საქართველოს ვერც შევადარებთ. 2000 წლის გაზაფხულზე, როცა საკალათბურთო ევროპა დივიზიონებად ჯერ დაყოფილი არ იყო, საქართველო ადრეულ საკვალიფიკაციო ეტაპზე ლუქსემბურგს კვიპროსში შეხვდა და 21 (!) ქულით დამარცხდა. ჯერჯერობით ეს ითვლება ქართული სანაკრებო კალათბურთის ყველაზე დიდ სირცხვილად და დღეს ჩვენები ერთხელაც შეეცდებიან იმ თავსლაფის ჩამორეცხვას.

2000 წლის შემდეგ საქართველო სამჯერ შეხვდა ლუქსემბურგს და სამჯერვე იოლად მოუგო. დღეს ალბათ მეოთხე გამარჯვება იქნება, მაგრამ ის 21-ქულიანი წაგება მაინც ხინჯად დარჩება თაობის გულში.

ქართველთათვის იმ სამარცხვინო მატჩიდან დღეს მხოლოდ 2 მოთამაშე იქნება მოედანზე — ნელსონ დელგადო და ზაზა ფაჩულია. წესით, კიდევ ორს უნდა ეთამაშა, მაგრამ ვლადიმერ ბოისა და ნიკოლოზ ცქიტიშვილი საქართველოს ნაკრებში არ ჩასულან.

ბოისას ამბავი ცნობილია: მას შვილი შეეძინა და ოჯახთანაა, ხოლო ცქიტიშვილს კლუბის ძიებაში გაუცდა დრო. ახლა წესით შილდსმა არც ერთი უნდა ათამაშოს ნაკრებში და არც მეორე. კანადელმა სპეციალისტმა ბოისაზე გასულ თვეში თქვა, თუკი ერთი კვირა მაინც არ ჩამოვა შეკრებაზე, ბოდიში მომითხოვია და ვოვას ვერ ვათამაშებო. მაშინ შილდსმა ცქიტიშვილზეც თქვა, „სკიტამ" ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა და მისი იმედიც გვაქვსო. სურვილი ერთია და, ნიკა შეკრებაზე ჯერაც არ ჩასულა, თუმც რა დროს შეკრებაა, დღეს უკვე თამაშია.

ერთი სიტყვით, საკვალიფიკაციო ტურნირი განახლდა და დანაკლისზე საუბარს ჯობს, ის ვთქვათ, რა პოტენციალი აქვს ამ ნაკრებს. ისე, პოტენციალის ქონა რომ დიდი ვერაფერი ხვითოა ქართველებისთვის, უკვე კარგად მოგვეხსენება. მგონი, ეს სიტყვა საქართველოს ნაკრებზე საერთოდ არ ჭრის. აბა, როგორ შეიძლება, მუდამ დიდი პოტენციალის მქონე გუნდი გერქვას და თუნდაც ერთხელ ვერ მოახერხო პატარა წარმატების გამოძრობა, რომ არაფერი ვთქვათ სერიოზულ მიღწევებზე.

შვიდი წელია, საქართველო პირველი საკვალიფიკაციო ბარიერის დაძლევას ცდილობს და ვერ მოუხერხებია. შესაბამისად, ამაზე დიდი ხანია, ქართველებს ევროკლასის ნაკრებთან ოფიციალურ დონეზე არ უთამაშიათ. ფაჩულია-ცქიტიშვილის ოქროს თაობა დავაჟკაცდა, დალევინდა, მალე „სპორტულ მოხუცებულობაშიც" გადააბიჯებს, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფრისთვის ვერ მიუღწევია.

იყო დრო, კალათბურთის ფედერაციამ ოლიმპიური პრეტენზია წამოაყენა, როცა 3 წლის წინ ჩვენი ნაკრები შემონდ უილიამსით გაძლიერდა. თუმც აღმოჩნდა, რომ ოლიმპიადაზე გასვლა ფანტასტიკის სფეროა და A დივიზიონში გადასვლაც კი საოცნებო გვაქვს.

მოდით, ერთხელაც ვთქვათ, რომ ამ ნაკრებს გააჩნია პოტენციალი, თუმც, უწინდელისგან განსხვავებით, უნდა დავაკონკრეტოთ, რომ ზეცისტოლა წარმატებების მიღწევის კი არა, არამედ A დივიზიონში ასვლის პოტენციალი. ისიც უნდა ითქვას, რომ ამის მიღწევა ურთულესი იქნება, რადგან თუკი ჯგუფის დარჩენილ ყველა თამაშს მოვიგებთ და პლეი ოფში გავალთ, იქ შეიძლება ვინმე ისეთი შეგვეჩეხოს, რომელიც თავის გასატანად თავს შეგაკლავს.

ბევრი გამოთვლები არ გვინდა. თუნდაც ინგლისი რომ შეგვხვდეს, რომელსაც უკვე 2 წაგება კი დაჰგროვებია, მაგრამ „ჩიკაგოს" ვარსკვლავი ლუოლ დენგი შეიმატა და დარჩენილი მატჩების მოგების შემთხვევაში პლეი ოფში გადის. ინგლისი იმიტომაც გამოვარჩიეთ, რომ ქართველებმა ამ გუნდთან 9-10 აგვისტოს 2 სპარინგ-მატჩი გამართეს და მთლიანობაში დაიჩაგრნენ — პირველი შეხვედრის 2 ქულით მოგების შემდეგ მეორე 19-ით წააგეს.

მთლიანობაში კი შილდსის გუნდმა 8 მოსამზადებელი მატჩი გამართა: ინგლისისა ვთქვით და ქართველებმა დანია, მაკედონია, რუმინეთი დაამარცხეს, ხოლო პორტუგალიასთან, ბულგარეთთან და ტუნისთან წააგეს. შედეგებს არ უნდა გამოეკიდო სპარინგ-მატჩებში და შილდსმაც ალბათ სულ სხვა რამისთვის გამოიყენა ეს 8 თამაში. კანადელმა სპეციალისტმა ზუსტად ერთი თვე იმუშავა საქართველოს ნაკრებთან და როგორ მოამზადა, ნაწილობრივ დღეს და სრულად მომდევნო მატჩებში გამოჩნდება.

**ირაკლი პერტაია**

### საქართველო — ლუქსემბურგის ყველა მატჩი

**კვიპროსი. 17 მაისი. 2000 წელი**

**საქართველო 71:92 ლუქსემბურგი**

*30:42 41:50*

**საქართველო:** ფაჩულია (9), ვ. ბოისა (3), კილაძე, ხოშტარია (8), ბერძენიშვილი (2), კოკოლიშვილი (4), აბრამიძე (1), დავითულიანი, ჯაფარიძე (3), გოგობერიშვილი (20), ქარაბაკი (17), ცქიტიშვილი (4)

**ლუქსემბურგი:** დე მარკი (3), ადამი (13), შილცი (6), ბევილაკუა (3), ნ. დელგადო (23), ვაგნერი (2), ფეიდერი (31), მესი (4), ბევერი (2), ვოლი (5)

**ლუქსემბურგი. 18 სექტემბერი. 2004 წელი**

**ლუქსემბურგი 61:87 საქართველო**

*21:26 15:18 19:20 6:23*

**ლუქსემბურგი:** შმიტი (8), ბეკერი (3), ვულფი, შარცი (7), მელხიორი (10), ჯეტსი (2), ბრაუნი (4), ბევერი (2), ჯონსი (25 ქულა, 22 მოხსნა)

**საქართველო:** გამყრელიძე (5), ვ. ბოისა (20), ფაჩულია (16), ცინცაძე (8), უილიამსი (15), მ. მარკოიშვილი (13), ხეცურიანი (3), ცქიტიშვილი (7)

**თბილისი. 10 სექტემბერი. 2005 წელი**

**საქართველო 87:65 ლუქსემბურგი**

*24:7 18:19 22:19 23:20*

**საქართველო:** გამყრელიძე (5), ვ. ბოისა (25), ა. ბოისა, ფაჩულია (30), ცინცაძე (4), საყვარელიძე (3), კუდია, გ. მარკოიშვილი (8), უგრეხელიძე (2), ხეცურიანი, მდივანი (2), ცქიტიშვილი (8)

**ლუქსემბურგი:** შუმახერი (14), შარცი, ვულფი, ფერეირა, ბევერი, შმიტი, რუპერი, ბრაუნი, მ. რანიაკი (23), ორანიაკი (25), ჰოფმანი (3)

**თბილისი. 3 სექტემბერი. 2006 წელი**

**საქართველო 86:44 ლუქსემბურგი**

*20:15 27:11 17:13 22:5*

**საქართველო:** გამყრელიძე (2), ვ. ბოისა (11), ა. ბოისა (2), ფაჩულია (7), ცინცაძე (15), შერმადინი (2), ელისი (12), მ. მარკოიშვილი (11), უგრეხელიძე (4), ნაცვლიშვილი (7), სანიკიძე (6), ცქიტიშვილი (7)

**ლუქსემბურგი:** შუმახერი (9), მელხიორი (1), ბაბი (3), მულერი, ჯეტსი, ფერეირა (5), პიკარდი (2), რანიაკი (19), ჯონსი (5)



# გერმანია ჭოკით ითვლის




კრისტინა ობერგფოლი

**რუსული** ან უკრაინულისაგან განსხვავებით, გერმანული სამძლეოსნო სკოლა თანაბრად უშვებს ორივე სქესის სპორტსმენებს. ოსაკასთვის გერმანელებმა 60-კაციანი მძლავრი რაზმი შეკრიბეს — აქედან 32 კაცი და 28 ქალი.

60 ათლეტი ცოტა არაა და, ბუნებრივია, მათ შორის მრავალი ნიჭიერი და ამბიციურია, მაგრამ თავად გერმანელებმა შემადგენლობის საბოლოოდ რომ გადაავლეს თვალი, კაცთა ნახევარგანაკვეთში მედლის იმდენი კანდიდატი ვერ შენიშნეს, რამდენიც გერმანული სამძლეოსნო წრეების ამბიციას დააკმაყოფილებდა. არავინ იცის, ოსაკაში რომელი ნაკლებცნობილი გერმანელი კაცის ტალანტი ამოხეთქავს, მაგრამ წინასწარ, ამ სეზონში ნაჩვენები შედეგებით, მხოლოდ ორი ჭოკით მხტომელი თუ გამოირჩევა — ბიორნ ოტო (წლეულს 5,90 მეტრზეა ამხტარი) და დენი ეკერი (5,87).

ქალთა რიგში მეტი ნიჭი და სამედლო ოპტიმიზმი შეინიშნება. გერმანელი დედაკაცები ძირითადად არასარბენ სახეობებში გამოირჩევიან. შუბის მტყორცნელმა კრისტინა ობერგფოლმა ორი წლის წინ ჰელსინკში ვერცხლი მოიგო, ახლა კი ის გაიზარდა, მოძლიერდა და 25 წლის ასაკში ოქროზე ფიქრის უფლებასაც აძლევს თავს, მით უფრო, რომ მიმდინარე სეზონში ის საუკეთესოა თავისი 70,20-მეტრიანი ნატყორცნით. ასევე სეზონის საუკეთესო შედეგს ფლობს ბადროს მტყორცნელი ფრანკა დიცში (68,06 მეტრი), რომელსაც შანსი ეძლევა ზედიზედ მეორედ მოიგოს მსოფლიო პირველობა. მედალზე ფიქრობენ შტეფი ნერიუსი (შუბი), პეტრა ლამერტი (ბირთვი) და ბეტი ჰიდლერი (ურო). შვიდჭიდში შველ კაროლინა კლუფტს ოქროს გერმანელები კი არა, ალბათ ვერავინ შეეცილება, მეორე-მესამეზე კი ჯენიფერ ოესერი და ლილი შვარცკოფიც შეიძლება გავიდნენ.

**კოტე ყორშია**



გურამ დოლიძეშვილის ფოტო

# არამხოლოდ შერკინებთ
## ლელოებმა ხელი გამოიღეს

19 აგვისტო. სენტ აფრიკი. არმან ვაკერენის თასი

**საქართველო 13:24 ალბი**

საქართველო: ხამაშურიძე, ელოშვილი, ურჯუკაშვილი, ი. გიორგაძე, მაჩხანელი; ჯიმშელაძე, აბუსერიძე; უდესიანი, ზ. მაისურაძე, ურუშაძე, დათუნაშვილი, დიდებულიძე, კოპალიანი, შველიძე, მაგრაქველიძე

*შეცვლაზე შევიდნენ:* გიგაური, სამხარაძე, გასვიანი, ხინჩაგაშვილი, სუთიაშვილი, ჩხაიძე

2ლ: ხამაშურიძე, უდესიანი; 1ს: ურჯუკაშვილი

**საფრანგეთში** მსოფლიოს თასის წინა შეკრებაზე მყოფი საქართველოს ნაკრები დროს უქმად არ კარგავს და ფრანგული კლუბებთან სპარინგ-მატჩებში ცდილობს სამსოფლიოსთასო სახე მიიღოს.

ისე, ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა მალხაზ ჭეიშვილის, დავით ჩიქლეიშვილისა და პაატა ნარიმანაშვილის შემადგენლობით, რა თქმა უნდა, უკვე იცის, ვის დაეყრდნოს საფრანგეთში, მაგრამ ისიცაა, რომ მსოფლიოს თასზე ჩვენი „ლელოები“ ერთი და იგივე რაზმით ვერ ითამაშებენ და შემადგენლობის როტაციასაც დამულამება უნდა.

ერთხელაც ვთქვათ, რომ მსოფლიოს თასზე ჯგუფში საქართველოს უმთავრესი მეტოქე ნამიბიაა, ხოლო თუ მასპინძელ საფრანგეთთან, ირლანდიასა და არგენტინასთან რასაც ჰქვია, ღირსეულად წააგებენ, ამაში დასაძრახი არაფერია. ამიტომ ჩვენი მწვრთნელები ბობოლებს ალბათ ნაზავ ნაკრებს გაუყვანენ, ხოლო ნამიბიას ძირითად რაზმელებს დააჯახებენ.

ამხელა შესავალი საიმისოდ დაგვჭირდა, რომ შეკრებაზე მყოფ ქართველების მორიგ მარცხს ობიექტური მიზეზი გამოვუძებნოთ. ჩვენებმა საფრანგეთში იქაურ ელიტარულ კლუბ „ალბისთან“ მორიგი მატჩი წააგეს. იქამდე „ლელოები“ „აჟენის“ ახალგაზრდულ და ძირითად გუნდებთან, უფრო ადრე კი ელიტარულ „ოშთან“ დამარცხდნენ.

„ალბისთან“ მატჩი ოფიციალურიც იყო და პირიქითაც, რადგან საქართველოს ნაკრებმა მასთან არმან ვაკერენის თასზე წააგო, ეს ტურნირი ტრადიციულია და ფრანგული კლუბები ჩემპიონატისწინა მოსამზადებელ ეტაპად იყენებენ. რადგან წლევანდელი მსოფლიოს თასი საფრანგეთში იმართება და მონაწილეთა უმეტესობა იქ აპირებს შეკრებას, ამ ტურნირზე საქართველოს და ფიჯის ნაკრებებიც მიიპატიჟეს.

ტურნირის პირველი მატჩი ჩვენებისთვის უიღბლო გამოდგა. ერთიცაა, რომ როგორც წინა მატჩებში, მწვრთნელებმა ძირითადი შემადგენლობა არც აქ ათამაშეს. „ლელოებს“ აკლდნენ აქვსენტი გიორგაძე, გია ლაბაძე, ილია ზედგინიძე და დავით ზირაქიშვილი, რამაც ქართველებს შერკინებასა და აუტებში ბლომად პრობლემები შეუქმნა.

„ალბიმ“ ოთხივე ლელო შერკინებით გაუტანა ჩვენებს. პარადოქსია, ეს კომპონენტი ქართველების უპირატესობაა, თუმც კიდევ ვთქვათ, რომ ჩვენებს ძირითადის ხუთი მორკინალი აკლდათ.

იყო პოზიციური მომენტებიც. წინა მატჩებთან შედარებით, ჩვენები მეტოქეს ხელით თამაშშიც აჰყვნენ და დაცვაში ორგანიზებულად ჩადგნენ. არმან ვაკერენის სახელობის ტურნირზე მორიგ მატჩს ჩვენები ზეგ „ოშთან“ გამართავენ. ამ კლუბს გასულ სეზონში საქართველოს ნაკრების კონსულტანტი ანრი ბრონკანი წვრთნიდა. „ოშთან“ მატჩამდე ვარჯიშებს სწორედ ანრი ბრონკანი გაუძღვება და მისივე თხოვნით ჩვენები ძირითადი შემადგენლობით ითამაშებენ.

**ბაჩო სვანიძე**

# ბებერი ლომისთვის აფთარიც მეტოქეა
## სამოა ინგლისზე იგეშება

**ინგლისის** ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი კია, მაგრამ მსოფლიოს თასის შემდეგი ოთხი წელი ისეთ კრიზისშია, რომ ლამის იტალიასთან და ასეთ საშუალო გუნდებთანაც კი წააგოს. „ვარდები“ რომ საფრანგეთის მსოფლიოს თასზე ჩემპიონის ტიტულს ვერ შეინარჩუნებენ, ამას ბავშვებიც კი ხვდებიან და მათი მწვრთნელი ბრაიან ეშტონის ძირითადი ამოცანაა, გუნდი ღირსების დაუკარგავად წარადგინოს მუნდიალზე. მას დიდ მიღწევად ჩაეთვლება ნახევარფინალიც კი, თუმც ამის შანსიც არაა დიდი.

მეტოქეები კი ხედავენ, რომ მეფე-ლომი ბებერი და უძლურია და კლანჭებსაც ილესავენ. ნებისმიერ დიდ სარაგბო ქვეყანას, რომელსაც ოთხი წლის წინა თასზე მასთან შეხვედრა შეაკრთობდა, ახლა სწორედ ის ურჩევნია მეტოქედ. ასე რომ, ინგლისელებს ჯგუფშიც კი დიდი ბრძოლების გადატანა მოუწევთ. A ჯგუფში ინგლისის მეტოქეები იქნებიან აშშ, ტონგა, სამოა და სამხრეთ აფრიკა. პირველი ორი შედარებით იოლი დასაძლევია, ინგლისი მათ ასე დაცემულიც შეაკნატუნებს, მაგრამ აი შემდეგი ორისგან კი დიახაც უდიდესი ხიფათი იგრძნობა. სამხრეთ აფრიკა ჯგუფში გამოკვეთილ ფავორიტად გრძნობს თავს, მეოთხედფინალის მეორე საგზურისთვის ბრძოლა კი ინგლის სამოასთან მოუწევს და არც აქვს იმის გარანტია, რომ ამ კერკეტ მეტოქეს გატეხავს.

2003 წელსაც ერთად იყვნენ ინგლისი და სამოა (სხვათა შორის სამხრეთ აფრიკაც და მათთან ერთად საქართველოც) და მაშინ მომავალმა ჩემპიონებმა ძლივს, 35:22 მოუგეს ოკეანეელებს. ეს იყო თანაბარი თამაში, რომლის ბოლოსკენ ინგლისელთა ეშმაკმა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა სამიოთხი დასვენებული მორაგბე ჩააბა ამ ხორცსაკეპში და ასე გარდატეხა თამაში. სამოელთა ახალზელანდიელი თავკაცი, თავის დროზე ლეგენდარული მორაგბე და 1987 წლის პირველი მსოფლიოს თასის გმირი მაიკლ ჯონსი ამბობს, მაშინ ჩვენ სწორედ ის რამდენიმე პროფესიონალი სათადარიგო მოთამაშე დაგვაკლდა, რომელიც ინგლისს ჰყავდაო.



ახალზელანდიელი მაიკლ ჯონსი სამოას ინგლისისთვის ამზადებს

„ის იყო წლების განმავლობაში ერთად თამაშში გამობრძმედილი ვეტერანების გუნდი, რომელიც ჩემპიონობას მართლა იმსახურებდა და რომელთანაც ჩვენ სულ ბოლოს წავაგეთ — ამბობს ჯონსი — წლეულსაც თუ გვექნება ასეთი შანსი? თუ ჩვენ თამაშს ვითამაშებთ, ეს შანსი აუცილებლად გაგვიჩნდება. დღესდღეობით მე ხშირად მესმის რჩევები, რომ სამხრეთ აფრიკას, ასე ვთქვათ, თავი დავანებოთ და მთელი ძალა ინგლისთან თამაშს დავახარჯოთ, რადგან ის დღეს ძალზე დასუსტებულია. ეს ძალიან მაცდუნებელი იდეაა, მაგრამ ჯგუფში სხვა მეტოქეებიც არ უნდა დავივიწყოთ. მე აქედანვე ვიტყვი, რომ სამხრეთ აფრიკასაც იმავე შემართებით შევებმებით, როგორითაც ინგლისს და არც ტონგას დავივიწყებთ. ტონგას შეუძლია უყურადღებო მეტოქის დასჯა, ის ჩვენნაირ რაგბის თამაშობს და აუცილებლად ჩაგვისაფრდება. ჩვენ კი ინგლისს უნდა ჩავუსაფრდეთ? დღეს მე ერთი რამ ვიცი, რომ წინ მსოფლიოს თასი გვაქვს და არა მხოლოდ ინგლისთან თამაში. მოვიცადოთ და ვნახოთ“

**კოტე ყორშია**

# ყიყლიყო!
## მამალი არწივობაზე ფიქრობს



ბერნარ ლაპორტი

**მსოფლიოს** თასი ახლოვდება. მონაწილენი კლანჭებს ილესავენ და თავს იმხნევებენ. რა თქმა უნდა, სხვებზე მეტ პასუხისმგებლობას მასპინძელი ფრანგები გრძნობენ და ისეთ განწყობაზე არიან, ან ახლა უნდა გავხდეთ მსოფლიოს ჩემპიონები, ან არასდროსო.

„მამლების“ მწყემსი ბერნარ ლაპორტი ყველანაირად ცდილობს შთაუნერგოს შეგირდებს, რომ ისინი ყველაზე ძლიერები არიან და ვერბალური იერიშები მიაქვს მეტოქე გუნდებზე. ყველას უპოვა რაღაც ხინჯი, ყველაზე მეტად კი ახალ ზელანდიას მისდგა, რაკი წლევანდელი ექვსი ერის მოგების და, მით უმეტეს, მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისის ზედიზედ ორჯერ დამარცხების შემდეგ ჩრდილოეთში კონკურენტი აღარ ეგულება.

ახალმა ზელანდიამ წლეულს გაზაფხულზე ორჯერ გაანადგურა საფრანგეთი — 42:11 და 61:10. ლაპორტმაც მას შემდეგ დაკარგა მოსვენება. „რაღაც უნდა მოვიფიქრო და ბიჭები გავამხნევო — ფიქრობს ის, თქმით კი ამბობს — ახალ ზელანდიას ძალზე შეზღუდული გუნდი ჰყავს. ისინი ყოველთვის შემტევ და შემოქმედებით რაგბის თამაშობდნენ, ახლა კი ჩაიკეტნენ და ახალს ვერაფერს აკეთებენ. ზოგჯერ იმ ჩარჩოებსაც ვერ ავსებენ, რომელშიც თვითონ მოათავსეს საკუთარი თავი. კი, მათ ჩვენ ორჯერ მოგვიგეს, მაგრამ მაშინდელი მოგებები ბევრსაც არაფერს ნიშნავს. ისიც ვთქვათ, მსაჯმა ხელი რომ გაიშვირა მათკენ, მერე აღარც ჩამოუწევია. მსოფლიოს თასზე ასეთ რამეს ველარ გაბედავს ვერც ერთი არბიტრი. ასე რომ, ჩემპიონატი რომ დაიწყება, ყველა დავინახავთ, რომ ის უფსკრული, რომელიც ჩვენს სათამაშო დონეებს შორის იყო, თურმე მირაჟი ყოფილა და არა რეალური ფარდობა.“

ლაპორტის მთავარი თავსატეხი ახალი ზელანდიაა, მაგრამ მას არც ის უნდა დაავიწყდეს, რომ „სიკვდილის ჯგუფში“ მოხვდა ორ მძლავრ მეტოქესთან — ირლანდიასა და არგენტინასთან ერთად და მათთანაც მოუწევს ოფლის მოდენა. რაც შეეხება ჯგუფის კიდევ ორ წევრთან, საქართველოსა და ნამიბიასთან რკენას, აქ ლაპორტი ალბათ მეორე შემადგენლობას დააყენებს, რათა ლიდერები სუსტ მეტოქესთან ბურთაობით არ შეაწუხოს. მისი გათვლით, „მამლები“ ფინალამდე მაინც უნდა მივიდნენ.

**კოტე ყორშია**



# 50 არაფერია... როჯერ ფედერერს მეტი შეუძლია

**კაცები**
**ცინცინატი. აშშ**
**მასტერსის სერია. ჰარდი.**
**საპრიზო 2 200 000 $**

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ჯეიმს ბლეიკი (9, აშშ) 6:1 6:4**

ერთწლიანი შესვენების შემდეგ როჯერ ფედერერმა ისევ იმარჯვა ცინცინატიში და წლის დასკვნითი სლემტურნირის წინ კარგ ხასიათზეც მოვიდა. ამ წარმატებას ალპელისთვის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვითდაჯერების კუთხით და ეს ნამატჩევს თავადაც აღნიშნა: „აშშ-ს ღია პირველობის წინ მეტად მნიშვნელოვანი წარმატება იყო. გასული კვირის განმავლობაში გაცილებით მოვუმატე და საკუთარი ძალებისაც უფრო ვირწმუნე“.

ისე, ჟურნალისტები იმდენს უჩიჩინებენ ფედერერს, ჩვეულად მაგარი ველარ ხარო„ რომ ამ კაცმა, მგონი, თვითონაც ირწმუნეს. არადა, ალპელს თავისი პარამეტრებითაც კარგი სეზონი აქვს და მართალია, გასულ სამ წელთან შედარებით 6 წაგება ჩვეულზე ადრე დაუგროვდა, ტიტულები მაინც არ აკლია — წლეულს როჯერმა ხუთი ტურნირი მოიგო, აქედან ორი სლემტურნირი. ამიტომაც ჩავარდნაზე ლაპარაკი გადაჭარბებულია.

საკუთრივ ფინალი ფედერერისთვის ძალიან იოლად წარიმართა და მას მხოლოდ 67 წუთი დასჭირდა ჯეიმს ბლეიკის გასანადგურებლად. ეს ამერიკელი კი შვეიცარიელის წინააღმდეგ აგერ უკვე მერამდენედ გამოიყურებოდა თოთო ბავშვივით — იანკი, რომელსაც ყველასთან დიდი გული აქვს და „მხიარულ როჯერთან“ საერთოდ ვერაფერს აწყობს. ამათი პირადი შეხვედრების ანგარიში უკვე 7:0 გახდა, რა თქმა უნდა, ფედერერის სასარგებლოდ და ამ მატჩებში ბლეიკს მხოლოდ ერთი სეტი აქვს აღებული.

ფედერერისთვის ეს მასტერსის სუპერსერიის ტურნირების მე-20 საკარიერო ფინალი იყო, რომელთაგან შვეიცარიელს 14-ში უმარჯვია. „მხიარული როჯერი“ მოგებული მასტერსებით ახლა მხოლოდ სამი ტიტულითღა ჩამორჩება რეკორდსმენ ანდრე აგასის.

ყველაფერთან ერთად ფედერერისთვის ეს 50-ე საკარიერო ტიტული გამოდგა. ასე განსაჯეთ, 50-დან ზუსტად ნახევარი „დიდი სლემისა“ (11) და მასტერსის (14) ტურნირებზე მოდის, რაც მართლაც ძალიან შთამბეჭდავი შედეგია.

შვეიცარიელმა 50 ტიტულის მოპოვება 26 წლისა და 11 დღის ასაკში მოახერხა, რითაც ის რიგით მეხუთე ახალგაზრდა მეჩოგნე გახდა, აღნიშნულ შედეგს რომ მიაღწია. სხვათა შორის, მეხუთე ადგილი ფედერერმა პიტ სამპრასს წაართვა. 50 ტიტულის ყველაზე ადრეულ ასაკში მომპოვებელი ხუთეული კი ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. ბიორნ ბორგი | 23 წელი და 7 თვე |
| 2. ჯიმი კონორსი | 23 წელი და 11 თვე |
| 3. ჯონ მაკინროი | 25 წელი და 2 თვე |
| 4. ივან ლენდლი | 25 წელი და 7 თვე |
| 5. როჯერ ფედერერი | 26 წელი და 11 დღე |

# ბარაქალა, ქალებო!
## ენინმა და იანკოვიჩმა ტორონტოში სპექტაკლი დადგეს

**ქალები**
**ტორონტო, კანადა. ჰარდი**
**საპრიზო 1 340 000 $**

**ფინალი**

**ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — ელენა იანკოვიჩი (2, სერბეთი) 7:6 7:5**



ჟუსტინ ენინმა მაინც დაგვარწმუნა, რომ დამდეგ აშშ-ს ღია პირველობას გამოკვეთილი ფავორიტი მაინც ეყოლება. ჭინკა ბელგიელი დიდებულ ფორმაში ხვდება წლის დასკვნით სლემტურნირს, რაც მან ტორონტოში საქმით დაამტკიცა, როცა შეჯიბრი სეტწაუგებლად მოიგო. როგორც ჩანს, ენინმა მეხსიერების ბნელ კუნჭულში მიაგდო უიმბლდონის ნახევარფინალში მომხდარი კაზუსი, როცა აშკარად მოსაგები თამაში დათმო მარიონ ბარტოლისთან და სეზონის დასკვნით ნაწილს მშვენივრად მომზადებული შეხვდა.

ფინალი ელენა იანკოვიჩის წინაამდეგ კი მართლაც ეპიკური გამოდგა. აქ გამარჯვება ორივეს შეეძლო, მაგრამ ენინის გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა. იანკოვიჩისთვის კი ეს გამოუყენებელი შანსების მატჩი იყო.

ენინმა, როგორც სჩვევია, ახლაც მძიმედ დაიწყო და მხოლოდ პირველი სეტის შუაწელზეღა გამოიღვიძა. ამ დროისთვის იანკოვიჩს 4:1 მიჰყავდა, მაგრამ ბელგიელმა შეძლო ვითარების გათანაბრება, სეტი ტაიბრეიკამდე მიიყვანა და იქ მაინც დაჯაბნა ბალკანელი.

პირველ სეტს, რომელიც საათსა და 6 წუთს გაგრძელდა, კიდევ უფრო დაძაბული პარტია მოჰყვა, რომელიც კიდევ უფრო დიდხანს გაიწელა და რომელშიც ენინმა ისევ საკუთარი ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე იხეირა. იანკოვიჩი აქაც დაწინაურდა 4:2, მაგრამ ბელგიელმა მალევე გაათანაბრა — 5:5. ამის შემდეგ მატჩის უდავოდ ყველაზე ლამაზი გეიმი შედგა, რომელიც ლამის ნახევარ საათს გაგრძელდა და რომელშიც სერბმა 6 ბრეიკ-პოინტი გაანიავა. შემდეგი გეიმი კი მატჩში უკანასკნელი გამოდგა — თუმც ენინმაც ბლომად იწვალა გამარჯვების ქულის ასაღებად და მხოლოდ მეხუთე მატჩ-პოინტიდან იხეირა.

„ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაძაბული მატჩი იყო, რაც კი ცხოვრებაში მითამაშია. თუმც ასეთი შეხვედრები ძალიან მიყვარს, რადგანაც სწორედ აქ გამარჯვებით ამტკიცებ საკუთარ სიძლიერეს“ — ხარობდა ნამატჩევს ენინი.

„უკეთეს მატჩს ვერც ვინატრებდი. ჟუსტინი ყოველთვის კარგი მეტოქეა — მასთან შეხვედრისას ბევრს სწავლობ და საკუთარი თამაშის დონეს ყოველთვის ამაღლებ ხოლმე“ — თავისთვის დადებითი მხარეები გამოძებნა ამ მარცხში იანკოვიჩმა, თუმც სერბს უკვე მყარად ჩამოუყალიბდა ენინის კომპლექსი, რადგანაც 7 ურთიერთშეხვედრიდან ბალკანელი ყველაში დამარცხდა, აქედან ხუთჯერ წლეულს.

# ჰენმანი მიდის?



**ბრიტანელმა** ვეტერენმა ტიმ ჰენმანმა ჩოგბურთიდან თავისი წასვლის თარიღი გამოაცხადა — ეს სექტემბრის ბოლოს ხორვატიასთან გასამართი დევისის თასის მატჩის შემდეგ მოხდება.

ისე, ჰენმანის ეს გადაწყვეტილება ბევრს არ გაჰკვირვებია, რადგანაც წლეულს ბრიტანელს ასაკი აშკარად დაეტყო — 13 ტურნირში მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან მხოლოდ ოთხში მოახერხა მეორე წრეში გასვლა. წლეულს ჰენმანისთვის ლამის წესად იქცა ჩოგბურთის ისეთ „ვარსკვლავებთან“ წაგებები, როგორებიც ჰოლანდიელი იგორ სიისლინგი (რეიტინგში 293-ე საფეხური) და ამერიკელი ჯონ აიზნერი (416-ე) არიან. ამას ზურგის ქრონიკული ტრავმაც დაურთეთ, რომლის გამოც ჰენმანი ამ კვირას ნიუ ჰევენში ვერ ითამაშებს თუმც აშშ-ს ღია პირველობაზე გამოსვლას გეგმავს) და სრულიად გასაგები ხდება, თუ რატომ მიიღო ბრიტანელმა ასეთი გადაწყვეტილება.

შეგახსენებთ, რომ ტიმ ჰენმანი ღია პირველობათა ერაში, ანუ 1968 წლიდან, ყველაზე წარმატებული ბრიტანელი ჩოგბურთელი. მის ანგარიშზე 11 ტიტულია და თან ექვსჯერ აქვს ნათამაშები სლემტურნირების ნახევარფინალებში. თუმც ჰენმანმა ვერ აუსრულა თანამემამულეებს ოცნება და მშობლიურ უიმბლდონზე ვერ იმარჯვა — მისი მაქსიმუმი აქ ნახევარფინალები იყო, სადაც ოთხჯერ (1998, 1999, 2001 და 2002 წლები) გავიდა.

ერთი ეგაა, რომ ჰენმანი პირველად არ ამბობს, ჩოგბურთიდან მივდივარო. ეს კაცი აგერ უკვე ორი წელია, წასვლით „იმუქრება“, მაგრამ მერე მაინც უბრუნდება ხოლმე კორტს. „სრულიად ინგლისის მდელოს ჩოგბურთის ასოციაციის“ აღმასრულებელმა დირექტორმა როჯერ დრეიპერმა ახლაც თქვა, რომ ტიმს ჯერ თავადაც არა აქვს საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული:

„მისმა აგენტმა იან ფელგეიტმა ახლახან მითხრა, რომ ტიმს ოფიციალურად არაფერი გადაუწყვეტია. იგი ისეთი კაცია, რომ ვერ გაიგებ, რა მოუვლის თავში. შეიძლება შემდეგ უიმბლდონზე მოინდომოს თამაში — მხოლოდ ღმერთმა იცის, რას იზამს“.

ჰოდა, ახლა ვიმარჩიელოთ — მართლა წავა 23 სექტემბერს თუ არა?

**ქახა ლომჯამშილი**

# ისევ რუსეთი და ისევ გერმანია

**სოფო შაფათავამ**, რომელიც გასულ კვირაში პენზის 50-ათასიან ტურნირში მონაწილეობდა, რუსთა დედაქალაქში გადაინაცვლა. მოსკოვურ თიხნარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით 25-ათასიანი შეჯიბრი ტარდება და ჩვენებური, ისევე როგორც პენზაში, აქაც კვალიფიკაციიდან ცდილობს ძირითად ბადეში მოხვედრას.

საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში სოფომ იოლად — 6:3 6:1 მოუგო რეიტინგში მასზე მაღლა, 517-ე პოზიციაზე მყოფ 20 წლის იტალიელ ალის ბალდუჩის. მეორე წრეში ქართველი ჩოგბურთელი კლასიფიკაციის 526-ე ნომერს, რუს ელიზავეტა ტოჩილოვსკაიას ხვდება და, თუ მასაც აჯობებს, მერე მესამე და გადამწყვეტ მატჩში ან კვალიფიკანტთა შორის პირველ ნომრად განთესილ რუს ნინა ბრატჩიკოვას დაუპირისპირდება, ანაც ყირგიზ ქსენია პალკინას.

მეორე ქართველი მანანა შაფაქიძე კი ისევ გერმანიაშია და ამჯერად ვალშტადის თიხნარზე მიმდინარე 10-ათასიან შეჯიბრში მიიღებს მონაწილეობას. შაფაქიძე ძირითად ბადეშია და მისი პირველი მეტოქის ვინაობა დღეს გახდება ცნობილი.

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**ერთი კვირის** შემდეგ, როდესაც მიუნხენში მოგებული ტურნირის სარგო ქულები დაემატება, ლადო ჩიხლაძე დაახლოებით 50 ადგილით მაღლა იქნება, ვიდრე დღევანდელი 407-ე პოზიციაა.

გუშინ გამოქვეყნებულ პროფესიონალ ჩოგბურთელთა მორიგ რეიტინგებში ჩიხლაძე იმავე ადგილზეა, სადაც ერთი კვირის წინ იყო და დიდი ცვლილებები, არც კლასიფიკაციებში მოხსენიებულ სხვა ქართველებს განუცდიათ.

რეიტინგებში კვლავაც 18 ჩვენებურია — 5 კაცი და 13 ქალი და, თუ მაინცდამაინც ცვლილებებზე მიდგება საქმე, სოფო შაფათავას 23 ადგილით მაღლა ასვლა და წლეულს საშინლად მოთამაშე სოფო მელიქიშვილის მორიგი, ამჯერად 22-საფეხურიანი ვარდნაა გამოსაყოფი.

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 407 (0) | ლადო ჩიხლაძე | 77 |
| 823 (-3) | ირაკლი ლაბაძე | 15 |
| 1331 (-3) | ნოდარ ითონიშვილი | 2 |
| 1504 (+3) | გიორგი ხრიკაძე | 1 |
| 1504 (+3) | გიორგი ჭანტურია | 1 |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 159 (+1) | მაკა ჩახნაშვილი | 204,5 |
| 284 (0) | ანა ტატიშვილი | 86,25 |
| 556 (-2) | სალომე დევიძე | 26,5 |
| 579 (+23) | სოფო შაფათავა | 25,0 |
| 681 (-22) | სოფო მელიქიშვილი | 16,0 |
| 717 (+1) | მანანა შაფაქიძე | 14,0 |
| 759 (0) | ოქსანა კალაშნიკოვა | 12,5 |
| 771 (-2) | ეკა გორგოძე | 12,0 |
| 948 (-2) | სოფო ქვაცაბაია | 7,0 |
| 1035 (-5) | თინა ყაველაშვილი | 5,0 |
| 1058 (-6) | სალომე ჩაჩხუნაშვილი | 4,75 |
| 1217 (+7) | მარიამ ქურდაძე | 2,75 |
| 1236 (+6) | თეონა ცერცვაძე | 2,5 |

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7605 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5485 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 3670 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3415 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 2990 |
| 6. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2310 |
| 7. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2255 |
| 8. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1950 |
| 9. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1925 |
| 10. ტომი ჰაასი (გერმანია) | 1880 |
| 11. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1880 |
| 12. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1780 |
| 13. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1740 |
| 14. გილერმო კანასი (არგენტინა) | 1648 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1565 |
| 16. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1495 |
| 17. კარლოს მოია (ესპანეთი) | 1445 |
| 18. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1440 |
| 19. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1420 |
| 20. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1230 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი | 982 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 971 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 662 |
| 4. ენდი როდიკი (აშშ) | 416 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 395 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 295 |
| 7. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 292 |
| 8. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 288 |
| 9. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 277 |
| 10. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 274 |
| 11. ტომი ჰაასი (გერმანია) | 266 |
| 12. კარლოს მოია (ესპანეთი) | 265 |
| 13. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 262 |
| 14. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 260 |
| 15. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 259 |
| 16. გილერმო კანასი (არგენტინა) | 258 |
| 17. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 257 |
| 18. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 249 |
| 19. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 236 |
| 20. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 229 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 4887 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3845 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3429 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3000 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2847 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2586 |
| 7. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2424 |
| 8. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2238 |
| 9. სერენა უილიამსი (აშშ) | 2237 |
| 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1968 |
| 11. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1968 |
| 12. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1774 |
| 13. ვინუს უილიამსი (აშშ) | 1765 |
| 14. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1708 |
| 15. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1694 |
| 16. დინარა საფინა (რუსეთი) | 1678 |
| 17. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1621 |
| 18. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1610 |
| 19. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1524 |
| 20. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1196 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 3675 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3475 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2707 |
| 4. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2340 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2271 |
| 6. სერენა უილიამსი (აშშ) | 2141 |
| 7. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2106 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 1740 |
| 9. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1698 |
| 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1683 |
| 11. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1592 |
| 12. დინარა საფინა (რუსეთი) | 1457 |
| 13. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1444 |
| 14. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1421 |
| 15. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1406 |
| 16. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1338 |
| 17. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1247 |
| 18. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1232 |
| 19. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1216 |
| 20. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1195 |



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი



ძველი ტრირის ქუჩებმა რალის მსოფლიოს ჩემპიონატს მეექვსედ უმასპინძლა

AFP ფოტო

# ძროხა გზაზე და მწყემსი გრონჰოლმი

**გერმანიის** გრან პრი კლასიკური რალის მსოფლიოს ჩემპიონატების კალენდარში 2002 წლიდანაა და წინა ხუთივე რბოლა ფრანგმა სუპერმძღოლმა სებასტიენ ლოებმა და მისმა მონაკოელმა შტურმანმა დანიელ ელენამ მოიგეს.

იმასაც აღვნიშნავთ, რომ არა მხოლოდ ბუნდესეტაპზე, საერთოდ, ერთი საასფალტო რბოლაც ვერ მოუგია წლევანდელი სეზონის ლიდერ მარკუს გრონჰოლმს. ასე რომ, საფრანგეთსა და ლუქსემბურგთან სასაზღვრო ქალაქ ტრირის შემოგარენში უვიწროეს, თუმცა მშვენიერსაფარიან ჩქაროსნულ გზებზე ამჯერზეც ფავორიტად სები ითვლებოდა და საბოლოოდ მეექვსე დამაჯერებელი გამარჯვებაც უპრობლემოდ მოიპოვა.

მარკუსმა „მტერს" ბოლომდე მედგრად სდია და დასკვნითი, მე-19 ჩქაროსნული უბნის წინ გამარჯვება თუ არა, მეორე ადგილი მაინც განაღდებული ჰქონდა, მაგრამ ესეც ვერ ეღირსა გზის პირას გამოსული ძროხის გამო.

მარშლებმა მარკუსს დროულად ანიშნეს პირუტყვის გამოჩენაზე და მრბოლმაც მას გვერდი მშვიდობიანად აუარა, მაგრამ მერე დაიბნა და როგორც იტყვიან, უწყინარ ვითარებაში „ფორდი" გზისპირა ხეებს მიახეთქა. შედეგადა, გრონჰოლმი თითქმის წუთნახევრიანი დაგვიანებით ძლივს მიბობღდა ფინიშამდე და მეორის ნაცვლად მეოთხე ადგილს დასჯერდა. ეს კი კიდევ სამი ქულის დაკარგვაა და მთელი ფინეთისთვის საწყენი იქნება, თუ მათი ფავორიტი ძროხის მიზეზით მესამე ტიტულს დაკარგავს.

გია ახალაძე

**WRC მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში**

**მეათე ეტაპი. გერმანია. 356,3 კმ**

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 3 სთ; 27.27,5 |
| 2 | ფრანსუა დიუვალი (ბელგია, სიტროენი) | ჩამორჩა 20,3 |
| 3 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | 1.19,1 |
| 4 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) | 1.36,5 |
| 5 | იან კოპეცკი (ჩეხეთი, შკოდა) | 3.07,1 |
| 6 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 3.14,7 |
| 7 | ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, სიტროენი) | 3.37,5 |
| 8 | იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, ფორდი) | 5.29,3 |

**საერთო ჩათვლა**

1. გრონჰოლმი — რაუტიაინენი 80 ქულა; 2. ლოები — ელენა 72; 3. ჰირვონენი — ლეჰტინენი 63; 4. პეტერ სოლბერგი — მილსი 29; 5. ჰენინგ სოლბერგი — მენკერუდი (ნორვეგია, ფორდი) 28; 6. სორდო — მარტი (ესპანეთი, სიტროენი) 28; 7. ატკინსონი — პრევო (ავსტრალია, სუბარუ) 20; 8. ლატვალა — ანტილა 13; 9. გარდმაისტერი — ჰონკანენი 10; 10. კარლსონი — ჟირადე (შვედეთი, სიტროენი) 9

**კონსტრუქტორთა თასი**

ფორდი 143 ქულა; სიტროენი 102; სუბარუ 52; სტობარდ-ფორდი 50; კრონოს-სიტროენი 35

# ვინ დარჩება დარჩიას გუნდში?


ბადრი ქიტიაშვილის ფოტო

**ბერძნულ-რომაული** სტილის მოჭიდავეთა ნაკრები ორი კვირა მინსკში ივარჯიშებს. ბეგი დარჩიამ ბელარუსულ შეკრებაზე ის თორმეტი შეგირდი იახლა, რომელთაგანაც სექტემბრის დასაწყისში შეიდეულს დაასახელებს. 17 სექტემბრიდან კი ეს შვიდეული ბაქოში, მსოფლიოს ჩემპიონატზე იჭიდავებს.

მინსკის შეკრებას კლასიკოსები დასკვნით ბორჯომულ სამზადისს მიაყოლებენ და სწორედ იქ იტყვის მწვრთნელი წონების ლიდერებს. შვიდიდან ხუთ წონაში უკვე თითქმის ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ დარჩია საუკეთესოთა გამოცხადებას მაინც არ ჩქარობს. არაოფიციალური ხუთეული კი ასეთია: დავით ბედინაძე (60 კგ), ლაშა ლომაძე (66 კგ), მანუჩარ კვირკველია (74 კგ), ბადრი ხასაია (84 კგ) და რამაზ ნოზაძე (96 კგ).

55 და 120 კილოგრამში კი ჯერ გაურკვევლობაა. უმსუბუქესი წონის აქამდელი ლიდერი, გამოცდილი ირაკლი ჭოჭუა, გივი კარტოზიას სახელობის თბილისურ ტურნირზე საპრიზო ადგილის გარეშე დარჩა, ხოლო წონის ახალბედამ მამუკა ხოზრევანიძემ ყველა ბრძოლა მოიგო და ჩემპიონი გახდა. აქვე იმავე ტურნირის ბრინჯაოსანი ლაშა გოგიტაძეც ვახსენოთ, რომელიც ხვალ ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე იჭიდავებს. კლასიკოსთა თავკაცი არჩევანს ამ სამეულიდან გააკეთებს.

120 კილოგრამში ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ნაკრების ლიდერი რევაზ ჭელიძე იყო, მაგრამ კარტოზიას თასზე მანაც უშედეგოდ იჭიდავა. ივლისში „ქარიშხალას" დარბაზში ჭელიძეს მართლაც შეეტყო, რომ ჩვეულ ფორმამდე ბევრი უკლდა, რის მიზეზადაც ორთვიანი ტრავმიანობა დასახელდა. ახლახან რეზოშ ბრაშოვის ტურნირზე ბრინჯაო კი აიღო, მაგრამ მწვრთნელი ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ დარჩენილა. რუმინეთში მძიმე წონაში გურამ ფერსელიძემაც იჭიდავა და მეხუთე ადგილზე გავიდა. მინსკში დარჩიამ ორივე წაიყვანა.

აქვე საქართველოს ბელარუსული თორმეტკაცა: 55 კგ — მამუკა ხოზრევანიძე და ირაკლი ჭოჭუა, 60 კგ — დავით ბედინაძე, 66 კგ — ლაშა ლომაძე, 74 კგ — მანუჩარ კვირკველია და გენადი გოგიშვილი, 84 კგ — ბადრი ხასაია და ლადო გეგეშიძე, 96 კგ — რამაზ ნოზაძე და გივი მორჩილაძე, 120 კგ — რევაზ ჭელიძე და გურამ ფერსელიძე.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ჩინური დღეები კლასიკურად იწყება

**პეკინის** ოლიმპიადისთვის საგანგებოდ აგებულ საჭიდაო დარბაზს ამ დღეებში ახალგაზრდა მოჭიდავეები გამოცდიან. დღეს ჩინეთის მთავარქალაქში 21-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. პირველ ორ დღეს ხალიჩა ბერძენ-რომაელებს დაეთმობათ. მესამე-მეოთხე — ქალებს, ბოლოს კი თავისუფლების დროც დადგება.

უფროსებისგან განსხვავებით, ახალგაზრდულ ტურნირებზე რვა წონით კატეგორიაში თამაშდება მედლები. საქართველოს ნაკრებები სრული შემადგენლობებით იჭიდავებენ. ქალებში კი, როგორც ყოველთვის, არც ამჯერად გვეყოლება მონაწილე.

ქართველი კლასიკოსები და თავისუფლები პეკინში დაახლოებით ათი დღის წინ ჩავიდნენ და დასკვნითი შეკრება იქვე გაიარეს. მთავარმა მწვრთნელებმა ვლადიმერ ადეიშვილმა და ნუგზარ სხირელმა ივნისის ბოლოს ბელგრადულ ევროპირველობაზე ნაჭიდავები შემადგენლობიდან სამ-სამი კაცი შეცვალეს. შეგახსენებთ, მაშინ ორივე ნაკრებმა ორ-ორი ბრინჯაო მოიპოვა. რადგან პირველი დღეები ბერძენ-რომაელებისაა, ჩვენც მხოლოდ მათ მედალოსნებს ვახსენებთ. მესამე ადგილი ბელგრადში ლაშა გოგიტაძემ (55 კგ) და სერგო ნინუამ (74 კგ) დაიკავეს. ნინუა ხალიჩაზე დღეს გავა, ხოლო გოგიტაძე — ხვალ.

დღეს ოთხი კლასიკური წონა ჩაჭიდავდება. ჩემპიონ-პრიზიორები სალამოსთვის გამოვლინდებიან. ნინუას გარდა საქართველოს სახელით გიორგი გოგბერაშვილი (50 კგ), ლაშა ლოლაშვილი (60 კგ) და დიმიტრი ჯავახიშვილი (96 კგ) იჭიდავებენ, ხვალ კი გოგიტაძე, გურამ კვერღელიძე (66 კგ), გენადი ხელაია (84 კგ) და ბექა როყვა (120 კგ) გავლენ ხალიჩაზე.

**ოთარ მაღლაკელიძე**


მურაზ დეკანოზიშვილის ფოტო




ეროვნული ბიბლიოთეკა

# კასპაროვმა სოჭი სუქს ჩააბარა

**სოჭის** 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად სოჭის არჩევა რომ დიდი მოულოდნელობა და უფრო მეტი უსამართლობა იყო, ამას ბევრი აღიარებს. მართალია, ზოგი ამ ოლიმპიადას ბოიკოტს და მოსკოვის თამაშების ბედის გაზიარებას უწინასწარმეტყველებს, მაგრამ ამქვეყნად გასაკვირი აღარაფერია და აღარც ის გაგვაოცებს, თუ 2014 წლის თეთრი ფორუმიც ისევე რიხინ-რიხინით ჩაივლის, როგორც მის სამასპინძლოდ გამართული არჩევნები. მეტიც, მსოფლიოს ექსჩემპიონი გარი კასპაროვი, რომელიც მხოლოდ საჭადრაკო დაფაზე ფიგურების სვლებში კი არა, პოლიტიკურ თამაშებშიც საკმაოდ გაწაფულია, ამბობს, მე ისიც კი აღარ გამიკვირდება, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობასაც რომ ხელი გამოჰკრასო.

გარი კასპაროვი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად სოჭის არჩევას „კორუფციის აშკარა შემთხვევად" მიიჩნევს.

გერმანულ ჟურნალ „კაპიტალისთვის" მიცემულ ინტერვიუში, როგორც სააგენტო „ვეს სპორტ" იუწყება, გარი კასპაროვი ამბობს: „რატომ აირჩიეს სოჭი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად? — ეს კორუფციის აშკარა შემთხვევა იყო. ვლადიმერ პუტინი პირადად შეხვდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თხუთმეტ წევრს და მას თადარიგში ძალზე დამაჯერებელი ფინანსური არგუმენტები ჰქონდა. მას მერე, რაც არჩევნებში გამარჯვება მიღწეულია, სახელმწიფო სოჭის ოლიმპიადაში 12 მილიარდ დოლარს ჩადებს. სანაძლეოს ჩამოვდივარ, რომ ამ ფულის უმეტესობა პუტინთან დაახლოებული კომპანიების განკარგულებაში აღმოჩნდება. მეტიც, მე სრულებითაც არ გამიკვირდება, თუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მომდევნო პრეზიდენტი პუტინი გახდება."

მანამ გარი კასპაროვი ვარაუდებს გამოთქვამს, იქით რუსი ოლიგარქი ბერეზოვსკი სოჭის თეთრ ოლიმპიადას შავ დღეს უწინასწარმეტყველებს და აქეთ მის მომავალზე ჩვენც ვმარჩიელობთ, ამ თამაშებისთვის სამზადისი თავისი გზით მიდის. ჰოდა თათბირზე, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა გამართა, სოჭის ოლიმპიური სამზადისისთვის სამთავიანი სტრუქტურაც ჩამოუყალიბებიათ.

„სახელმწიფო ორგანოების სრული ფუნქცია სექტემბერში გასამართ ფიზკულტურისა და სპორტის საპრეზიდენტო სხდომაზე განისაზღვრება" — ამბობს რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლეონიდ ტიაგაჩევი და იქვე განმარტავს, სოჭი 2014-ის პროექტთან დაკავშირებით მთავარი საკადრო გადაწყვეტილება არ ყოფილაო. იგი იმასაც გვახსენებს, რომ სოჭის ოლიმპიური ობიექტების მშენებლობას საგანგებოდ შექმნილი ოლიმპიური სახელმწიფო კორპორაცია განახორციელებსო.

საინფორმაციო სააგენტოები ავრცელებენ რუსეთის ტრანსპორტის მინისტრ ოლეგ ბელოზეროვის ნათქვამსაც, ოლიმპიადების ჩატარების წესების თანახმად, სოჭში 220 ობიექტზე მეტი უნდა აიგოსო: „ჩვენ, როგორც ტრანსპორტის მუშაკებმა, ამ ობიექტებს შორის სამოძრაოდ გზები უნდა ავაშენოთ. არის საგანგებო მოთხოვნა, რომლის თანახმადაც სპორტსმენები ერთი ობიექტიდან მეორეში დროის გარკვეულ მონაკვეთში უნდა მივიდნენ."

ირკვევა, რომ ოლიმპიური სოჭის გზების მოსამზადებლად დამატებით 15 მილიარდი რუბლია საჭირო. ოლიმპიური მზადების დირექციის მეთაურ ვლადიმერ აფანასენკოვის თქმით, ქალაქის მთელი მშენებლობისთვის ერთი მილიარდი რუბლია გამოყოფილი, რაც „აშკარად არასაკმარისია".

მანამ რუსეთის მამები მშენებლობებზე და მის ფინანსებზე მსჯელობენ, მაგრამ არაფერს ამბობენ საოლიმპიადოდ აფხაზეთში შექმნილ თუ შესაქმნელ ფულის გათეთრების მანქანაზე და იქიდან საქართველოს დაუკითხავად გატანილ მარმარილოზე, ხე-ტყესა და ინერტულ მასალებზე, ხმას იმაღლებენ ველური ბუნების მსოფლიო ფონდის რუსეთის განყოფილების წარმომადგენლები. ისინი დაბეჯითებით მოითხოვენ ოლიმპიური საციგაო და ბობსლეის ტრასის გადატანას. ამ ორგანიზაციის მეთაური იგორ ჩესტინი ამბობს, ამ ტრასის კომპლექსის ნაწილი ნაკრძალის ტერიტორიაზე ხვდება, რაც დაუშვებელიაო. იგი იმასაც წუხს, ამ ადგილებში ჩლიქოსანი ცხოველები ბალახობენ და ამიტომ მშენებლობა მათ ნორმალურ ყოფაზე იმოქმედებსო... აფხაზეთიდან დევნილთა ყოფა კი არავის აღელვებს.

**ავთანდილ ბჟვიშელი**



# ჰამბურგელი ბალანი

**სეზონის** მესამე და ბოლო სუპერრბოლის, ესპანური „ვუელტას“ დაწყებამდე ორი კვირით ადრე პრო-ტურის სერიის მორიგი სარეიტინგო ერთდღიანი კლასიკური რბოლა ჩატარდა — გერმანულ ჰამბურგში 249-კილომეტრიანი „ვატენფალ-კლასიკი“ გაიმართა.

რბოლის მსვლელობისას ორიოდე კარგა გვარიანი ზედახორა და გაქცევის რამდენიმე მცდელობა იყო, მაგრამ ყველა ამაო გამოდგა და რბოლა ჯგუფური ფინიშით დასრულდა.

ჰოლანდიური „რაბობანკის“ წევრებმა, თითქოს იდეალური საფინიშო მდგომარეობა შეუქმნეს თავიანთ ლიდერს, ჰამბურგული კლასიკურის შარშანდელ გამარჯვებულსა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ოსკარ ფრეირეს, მაგრამ ბოლო 500 მეტრზე წარმოუდგენელი სიჩქარე განავითარა იტალიელმა ალესანდრო ბალანმა („ლამპრე“), რომელმაც ექსპრესივით ჩაუქროლა ფრეირეს და პირველმა უწია ფინიშს.

ფრეირე მეორე იყო, ხოლო მესამე ადგილზე 20 წლის გერმანელი გერალდ კიოლეკი („T-მობაილი“) გავიდა, ვის შესახებაც ველოსამყარომ გასულ კვირაში გაიგო, როდესაც ჯეელმა მრბოლმა „გერმანიის ტურზე“ ერთბაშად სამი გამარჯვება მოიპოვა.

ვერ ივარგა მსოფლიოს ექსჩემპიონმა და წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ საუკეთესო სპრინტერმა, ბელგიელმა ტომ ბოონენმა. „ქვიკ სტეპის“ მრბოლი ფინიშის სიახლოვეს, ბოლო აღმართში ჩამორჩა მოწინავეებს.

რაც შეეხება ალესანდრო ბალანს, 28 წლის ატიალიელი კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს — აქამდე მან ბელგიური კლასიკა, „ფლანდრიის ტური“ მოიგო, შემდეგ „ტურ დე ფრანსზეც“ იყოჩაღა და აგერ, ჰამბურგშიც ყველას აჯობა.

**„ვატენფალ-კლასიკი“. ჰამბურგი, გერმანია. 249 კმ**
**პრო-ტურის სერიაში შემავალი ერთდღიანი კლასიკური რბოლა**

| | |
|---|---|
| 1. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე“) | 51 სთ. 21 წთ. 05 წმ. |
| 2. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი“) | |
| 3. გერალდ კიოლეკი (გერმანია, „T-მობაილი“) | |
| 4. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, „ლამპრე“) | |
| 5. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილარმი“) | *ყველას იგივე დრო* |

# დანილო და მისი მდევრები

**პრო-ტურის** სერიაში შემავალი რბოლების — ცხრაეტაპა „გერმანიის ტურისა“ და ჰამბურგის ერთდღიანი კლასიკურის დასრულების შემდეგ, ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა (UCI) ახალი რეიტინგები გამოაქვეყნა.

აქვე გეტყვით, რომ პრო-ტურის სერია ცოტა უცნაურადაა შედგენილი და მასში არ შედის, ვთქვათ, „ბურგოსის ვუელტა“, რომელიც „გერმანიის ტურის“ პარალელურად ტარდება და გერმანულ რბოლაზე ნაკლებად პრესტიჟული და პოპულარული ნამდვილად არ არის. თუმცა, რეალობა ასეთია და ჩვენც რეალურად არსებული მდგომარეობის შესახებ ვილაპარაკოთ.

მრბოლთა კლასიფიკაციას კვლავაც იტალიელი დანილო დი ლუკა უდგას სათავეში. „ჯირო დიტალიას“ ჩემპიონი 16 ქულას უგებს „ტურ დე ფრანსის“ ესპანელ ტრიუმფატორ ალბერტო კონტადორს და 17 ქულას — მეორე ესპანელს, სერის შარშანდელ გამარჯვებულ ალეხანდრო ვალვერდეს.

გერმანული რბოლების შემდეგ კლასიფიკაციაში ყველაზე დიდი ნახტომი „გერმანიის ტურის“ ზედიზედ მეორედ მომგებმა ვეტერანმა გერმანელმა, იენს ფოიგტმა გააკეთა, რომელმაც 68-ე პოზიციიდან მეჩვიდმეტეზე გადაინაცვლა. მეთოთხმეტედან მერვე ადგილზე აიწია „გერმანიის“ ტურის ვიცე-ჩემპიონმა“, „ტურ დე ფრანსის“ მესამე პრიზიორმა, ამერიკელმა ლევი ლეიფემერმა. რაც შეეხება ჰამბურგის კლასიკური რბოლის მომგებ იტალიელ ალესანდრო ბალანს, მან ცხრა პოზიცია მოიგო და მე-20 საფეხურიდან მეთერთმეტეზე აიწია.

ტოპ-ოცეულში ყველაზე მეტი, 4 მრბოლით კვლავაც იტალიაა წარმოდგენილი. ესპანეთი, ავსტრალია და ლუქსემბურგი სამ-სამი მრბოლით იწონებენ თავს, გერმანია — ორით, ხოლო ამერიკას, რუსეთს, საფრანგეთს, ბელგიასა და ყაზახეთს მოწინავე ოცეულში თითო ველოსიპედისტი ჰყავთ.

რაც შეეხება გუნდურ წარმომადგენლობას, აქ დანიური CSC ლიდერობს, რომელსაც ფოიგტის შემომატების შემდეგ ტოპ-ოცეულში 4 მრბოლი გაუხდა. ამერიკულ „დისქავერის“, ესპანურ „კაისე დეპარნს“, ბელგიურ „ლოტოს“, გერმანულ „გეროლშტაინერსა“ და იტალიურ „ლამპრეს“ პირველ ოცეულში ორ-ორი წევრი ჰყავთ, ხოლო იტალიური „ლიქუიგასი“, გერმანული „T-მობაილი“, ჰოლანდიური „რაბობანკი“, ფრანგული AG2R, ბელგიური „ლოტო“ და ყაზახური „ასტანა“ თითო მრბოლით არიან წარმოდგენილნი.


დანილო დი ლუკა

# კედელ ევანსის ორი ქურდღელი



**ავსტრალიელი** კედელ ევანსი, ვინაც წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე“ მეორე ადგილი დაიკავა, იმედოვნებს, რომ იმას გააკეთებს, რაც აქამდე არავის გაუკეთებია — ერთ სეზონში, და ლაპარაკია მომავალი, 2008 წლის სეზონზე, ფრანგულ სუპერრბოლასაც მოიგებს და პეკინის ოლიმპიურ თამაშებზეც მოიპოვებს ოქროს მედალს.

ევანსმა ეს ოპტიმისტური განცხადება გასულ უქმეებზე, პეკინში გამართული ოლიმპიადის სატესტო რბოლის მოგების შემდეგ გააკეთა.

„ვფიქრობ, რომ შეიძლება ერთ სეზონში ამ ორი რბოლის მოგება. ასეთი რამ არასოდეს მომხდარა, მაგრამ თუ ისეთ ფორმაში ხარ, რომ შეგიძლია საუკეთესო იყო „ტურზე“, ეს ფორმა უნდა გეყოს იმისთვის, რომ ოლიმპიურ თამაშებზე ჯგუფური, ან ინდივიდუალური რბოლა მოიგო“ — ბრძანა ევანსმა, ვინც ატლანტის 1996 წლისა და სიდნეის 2000 წლების ოლიმპიური თამაშების მონაწილეა, ოღონდაც იმ დროს ის მაუნტიბაიკერი, ანუ მთის ველომრბოლი იყო (არ აგვერიოს კლასიკურ სამთო რბოლებში) და მშობლიურ სიდნეიში ფავორიტადაც მიიჩნეოდა, მაგრამ ოდენ მე-7 ადგილი დაიკავა.

„ატლანტის თამაშებმა ბევრი რამ მასწავლა. სიდნეის ოლიმპიადამ კიდევ უფრო მეტი გამოცდილება შემძინა. ვიმედოვნებ, რომ ეს ბაზა პეკინში წარმატების მიღწევაში დამეხმარება“ — ბრძანა ევანსმა, ვინც ძალზე უკმაყოფილო დარჩა პეკინში შექმნილი ეკოლოგიური სიტუაციით — რბოლის შემდეგ ყელი მტკიოდა და სუნთქვა მიჭირდა, მაგრამ იმედია, ერთი წლის შემდეგ მსგავსი პრობლემები აღარ შემაწუხებსო.

## პრო-ტურის რეიტინგები

**მრბოლები**

| | |
|---|---|
| 1. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი) | 207 |
| 2. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი“) | 191 |
| 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დეპარნი“) | 190 |
| 4. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“) | 174 |
| 5. დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი“) | 172 |
| 6. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „T-მობაილი“) | 129 |
| 7. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი“) | 125 |
| 8. ლევი ლეიფემერი (აშშ, „დისქავერი“) | 118 |
| 9. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, „კაისე დეპარნი“) | 115 |
| 10. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე“) | 115 |
| 11. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე“) | 110 |
| 12. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R) | 88 |
| 13. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“) | 87 |
| 14. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | 86 |
| 15. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | 81 |
| 16. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, CSC) | 79 |
| 17. იენს ფოიგტი (გერმანია, CSC) | 78 |
| 18. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი“) | 76 |
| 19. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, „ასტანა“) | 74 |
| 20. რობი მაკიუენი (ავსტრალია, „ლოტო“) | 74 |

გუნდები: 1. CSC (დანია) 314 ქულა; 2. კაისე დეპარნი (ესპანეთი) 260; 3. დისქავერი (აშშ) 259; 4. ლიქუიგასი (იტალია) 259; 5. AG2R (საფრანგეთი) 255; 6. სონი დიუვალი (ესპანეთი) 253; 7. რაბობანკი (ჰოლანდია) 230; 8. ქვიკ სტეპი (ბელგია) 220; 9. ასტანა (ყაზახეთი) 207; 10. ლოტო (ბელგია) 202.

ქვეყნები: 1. იტალია 675 ქულა; 2. ესპანეთი 632; ავსტრალია 412; 4. გერმანია 324; 5. ლუქსემბურგი 296; 6. რუსეთი 238; 7. აშშ 213; 8. ბელგია 207; 9. ჰოლანდია 189; 10. საფრანგეთი 153.

# შუა პარიზში

საკრის ბაზილიკა პარიზში საფრანგეთის სამთო მოტოთა ტურის ბოლო დღეს მასპინძლობს. ჰოდა, შოუს ღერძიც ბაზილიკის კიბით დაშვებაა.




AFP პარიზიდან




AFP მასაჩუსეტსიდან

# მასაჩუსეტსის ქვიშები

კერი უელში, მესთი მეი-ტრინობოს დაკრულის დაბლოკვას ცდილობს. მარინა ბეიში, მასაჩუსეტსში განთქმული ბოსტონოუფენი გახურებულა.

# ბექჰემის ნაშობა

„ლოს ანჯელეს გალაქსის" ფანთა შორის ახლა უკვე ბევრი ასეთი გოგოშკა იქნება. კალიფორნიელები გასვლაზე თამაშობენ ნიუ იორკის „ჯაიანთზე". იქ კი მაინც ბექჰემის ნაშობა ნივის.



AFP ნიუ იორკიდან

# ამხანაგური

ასეთი საკალათბურთო ამხანაგურია: გერმანია — ჩინეთი. თამაში მანჰეიმში ჩატარდა, ამხანაგურისას კი არაფერი უგავს. სტუმარი ჟიასიუ ლიუ მასპინძელ შტეფან ჰამანს ვერაგულად ამტვრევს.



AFP მანჰეიმიდან



AFP მანჰეიმიდან

# უპატიებელი

მანჰეიმში ესესაა დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ცხენოსნობაში. ეს შვეიცარიელი მხედარი გოგო კრისტიან ლიბჰერია, რომელიც ცხენის მეტსახელითაც კი გამორჩეული იყო: მის რაშს უპატიებელი ერქვა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge